



ახალი განათლება

19-25.09.2019

№27 (861) გაზიარდა 1998 წლიდან

www.akhaliganatleba.ge

გილოცავთ ახალი სასწავლო წლის დაწყებას!

გვახარებს, რომ მილოცვის ადრესატი ძალიან დიდი აუდიტორიაა – 500 000-ზე მეტი მოსწავლე, 55 000-ზე მეტი მასწავლებელი, 2083 საჯარო და 200-ზე მეტი კერძო სკოლა, დირექტორები, მშობლები, რესურსცენტრები, განათლების სისტემის გულშემატკივრები.

არდადეგების შემდეგ, ჩვენმა გაზეთმა გამოსვლა განაახლა და ვეცდებით, 45 ათასივე საკლასო ოთახში, თქვენს სასარგებლოდ, ისევ შემოვალწიოთ და ჩვენი 21-წლიანი ისტორია, თქვენთან ერთად, ისეთივე საჭიროებით გავაგრძელოთ, როგორც ამას აქამდე ვაკეთებდით – ერთგული ხელმძღვრის, მკითხველის თუ, უბრალოდ, გულშემატკივრისა და მხარდამჭერის წყალობით, ქართულ საგანმანათლებლო სივრცეს ისევ ვემსახუროთ გამორჩეული გულწრფელობით.

ჩვენს მთავარ პრიორიტეტად, ბუნებრივია, ისევ დარჩება პრობლემებისა და მიღწევების გაშუქება, პედაგოგების საჭიროებების გათვალისწინება, მოსწავლეებისა და სტუდენტების მხარდაჭერა; თითოეული სიტყვის აწონ-დაწონვა და ბეწვის ხიდზე გავლა, მხოლოდ და მხოლოდ, თქვენი ინტერესების დაცვის მიზნით. ამ გზისთვის, სერიოზული ბარიერების მიუხედავად, ისევ და ისევ თქვენ გამო, არც არასოდეს გადაგვიხვევია. თქვენს პროფესიულ განვითარებაში შეტანილი წვლილი ჩვენი უპირველესი მიღწევაა. არაქართულენოვანი მასწავლებლებისთვის ისევ დავრჩებით ერთადერთ წყაროდ, რომ მშობლიურ ენაზე მიიღონ და გამოაქვეყნონ ინფორმაცია, მოძაველშიც გავაგრძელებთ მათ მხარდაჭერას და ბოლომდე შევინარჩუნებთ კურსს, რომელიც მასწავლებლების უმრავლესობას სერიოზულ საყრდენად ეგულება.

ჩვენი გაზეთი შეეცდება, ახალი სეზონის დაწყებასთან ერთად, ახალი რუბრიკები და პროექტები შემოგთავაზოთ. გვიგულეთ ქომაგებად, სიმართლის საზომად და, რაც მთავარია, არა ჩასაფრებულის პოზიციაში, რომელსაც მხოლოდ „ლაქების“ აღმოჩენა შეუძლია.

მოგვწერეთ თქვენს პრობლემებზე და ჩვენი რეაქცია მყისიერი იქნება!

ერთად შევიტანოთ წვლილი განათლებაში მიმდინარე პროცესების გაუმჯობესებაში!





აშშ-ს მშვიდობის კორპუსი საქართველოში ინყუებს სკოლების განაცხადების მიღებას 2020-2022 წლებში

Peace Corps მოხალისეთან თანამშრომლობისთვის

მშვიდობის კორპუსის მოხალისეები, ცხრაშვიდი წელია, წარმატებით ასორციელებენ განათლების პროექტს საქართველოში რეგიონებში. კონკურსში მონაწილე სკოლები ამერიკელი ინგლისური ენის მასწავლებლებთან იმუშავებენ 2020-2022 სასწავლო წლებში, ინგლისური ენის ცოდნის დონისა და სასწავლო პრაქტიკის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით.

კონკურსში მონაწილეობა შეუძლიათ საჯარო სკოლებს უმცირეს რეგიონებში: კახეთი (ახმეტის ჩრდილოეთით მდებარე სოფლების გარდა), მცხეთა-მთიანეთი (გუდაურის ჩრდილოეთით განლაგებული დასახლებების გარდა), ძველი ქართლი, შიდა ქართლი, სამცხე-ჯავახეთი, აჭარა, გურია, იმერეთი, სამეგრელო, რაჭა-ლეჩხუმი და სვანეთი. კონკურსში მონაწილეობა არ შეუძლიათ იმ სოფლებსა და ქალაქებს სკოლებს,

რომლებიც მდებარეობენ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციული საზღვრის ხუთკილომეტრიან ზოლში.

თუ თქვენი სკოლა მდებარეობს ჩამოთვლილი რეგიონებიდან ერთ-ერთში, ინგლისური ენის მინიმალური საათობრივი გადამხარეობა 24 საათს და დაინტერესებული ხართ მოხალისეთან თანამშრომლობით 2020-2022 აკადემიურ წლებში, აპლიკაცია მოითხოვთ ადგილობრივ საგანმანათლებლო რესურსცენტრში ან მოიძიეთ ჩვენს ვებგვერდზე:

<https://www.peacecorps.gov/georgia/ask-for-a-volunteer/>

შეავსეთ და მოგვარდეთ მშვიდობის კორპუსის ოფისში, მისამართზე: ვაჟა-ფშაველას გამზირი № 29ა, თბილისი, 0160, ან გამოგვიგზავნეთ ელექტრონული ფოსტით, მისამართზე:

education@ge.peacecorps.gov

მოხალისის მოთხოვნის შევსებული ფორმის ჩაბარების ბოლო ვადაა 21 ოქტომბერი, 2019 წელი

დაგაბებითი ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით:

- ✓ ასმათ სინარულიძე
განათლების პროგრამის ხელმძღვანელი
ტელ: 595906444;
- ✓ თეო ნეფარიძე
განათლების პროგრამის ხელმძღვანელი
ტელ: 591969881;

- ✓ ია გელაშვილი
განათლების პროგრამის ხელმძღვანელი
ტელ: 595950406;
- ✓ ნინო ფიროსმანიშვილი
პროგრამის და ტრენინგების სპეციალისტი
ტელ: 595027979.

მიმდევრით თვალი ჩვენს ფინანსებზე: Peace Corps Georgia

პროფესიული განვითარება

ყველაზე მარტივი გზა სტატუსის შესაცვლელად – საშემოდგომო გამოცდაზე შედეგის გაუმჯობესება

მასწავლებელთა სასერტიფიკაციო გამოცდების შედეგები ციფრებში არც თუ სასარგებლოდ აისახა – აპლიკანტთა 74-მა პროცენტმა (სულ 32 ათასი აპლიკანტი იყო დარეგისტრირებული, რომელთა შორის 10 ათასი მასწავლებლების მსურველია) 60-პროცენტზე დაბალი ვერ გააძლიერა, შესაბამისად, კომპეტენციის დარღვევით მხოლოდ 26-მა პროცენტმა დაადასტურა. თუმცა, მათთვის (და არამხოლოდ მათთვის) სახელმწიფო, გამონაკლისის სახით, ნოემბრში, სასერტიფიკაციო გამოცდები ისევ დაუშვა, რეგისტრაციის გაუმჯობესება და შედეგების გასაუმჯობესებლად კიდევ ერთი შანსი მისცა დაგაბებითი პრაქტიკის მასწავლებლებსა და იმ ადამიანებს, ვინაც მასწავლებლის პროფესიაში შემოსვლა სურთ, სტაღონ გედი და საგნობრივი კომპეტენციის დადასტურება. და თუ პრაქტიკოსი მასწავლებელი მიიღებს ვერ გაიუმჯობესებს შედეგს, რა შედეგებზე უნდა იქნას დასაყრდენი? შევეცადეთ ამ კითხვაზე პასუხი და რეგულირებას მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილისგან, მანანა რატიანიდან მივიღოთ.



– როგორ შეაფასებთ ზაფხულის გამოცდის შედეგებს, ცნობილია, რომ აპლიკანტთა 74-მა პროცენტმა 60-პროცენტზე დაბალი ვერ გააძლიერა.

– ზაფხულში გამოცდაზე მასწავლებლობის მსურველი ბევრად მეტი გავიდა, ვიდრე წინა წლებში. მოქმედი მასწავლებლების მხრიდანაც ძალიან დიდი აქტიურობა იყო. შედეგებიც განსხვავებული აჩვენებს იმისდა მიხედვით, ვის რა გამოცდილება და რა წინარე ცოდნა ჰქონდათ. პროცენტებიც მოლოდინის მიხედვით წარმართა და საინტერესო შედეგები დაფიქსირდა. რაც მთავარია, ძალიან სასიხარულოა, რომ წლებში გასწავლულმა სისტემისადმი მზარდი ინტერესი დაგვიანა – საკმაოდ მაღალი ინტერესი დაფიქსირდა მასწავლებლების პროფესიისადმი. ეს ტენდენცია, ერთმნიშვნელოვნად, დადებითად უნდა შეფასდეს, რადგან ადამიანების მხრიდან ამ პროფესიისადმი ინტერესის ზრდა და ბევრი მასწავლებლობის მსურველის გაჩენა, მაღალ კონკურენციას და, ავტომატურად, სისტემაში მაღალი ხარისხის კადრების შემოსვლას ნიშნავს. საბოლოო ჯამში კი, ეს ყველაფერი, დადებითად უნდა აისახოს სწავლა-სწავლების ხარისხზე. სწორედ

სწორედ ამაზე, გავამართლოთ მოსწავლეების მოლოდინი, როგორ გახდნენ კონკურენტუნარიანები 21-ე საუკუნეში, შესაბამისი უნარები მოსწავლეებში სწორედ მასწავლებლებმა უნდა განავითარონ. ამიტომ ვცდილობთ, მაქსიმალურად შევწყნოთ ხელი პედაგოგებს და კვალიფიკაციის ამაღლებაში დავეხმაროთ. ამ პროცესში ის მასწავლებლებიც გვეხმარებიან, რომლებსაც წლებია კვალიფიკაცია დადასტურებული აქვთ – ახლა ისინი დამწყებ, ახალბედა მასწავლებლებს გვერდში დაუდგებიან.

– 32 ათასი აპლიკანტიდან, 10 ათასი მასწავლებლობის მსურველი იყო. თუ არის ცნობილი, რამდენმა შეძლო კომპეტენციის დადასტურება და დაწესებული 60-პროცენტის ზღვრის გადალახვა?

– როცა ვსაუბრობთ მაღალი შედეგის მაჩვენებელ 26,2 პროცენტზე, რომელმაც წარმატებით დაადასტურა კომპეტენცია და მაქსიმალური 10 ქულა მიიღო, მათ შორის, საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია სწორედ მასწავლებლობის მსურველი აპლიკანტების. მათ რომ ჰქონოდათ იმის შესძლებლობა, უფრო დაბალი კრედიტები ან ნაწილობრივი კრედიტები მიეღოთ, რა თქმა უნდა, მათი რიცხვი გაცილებით მეტი იქნებოდა. თუმცა, მოგეხსენებათ, მასწავლებლობის მსურველს აუცილებლად 60-პროცენტის ბარიერი უნდა გადაეღებინა, რომ გამოცდა წარმატებით ჩაბარებულიყო ჩათვლიდა. ჩვენთვის მთავარია, ზუსტად ვიცოდეთ, ვინ შემოდის პროფესიაში, ამიტომაც გვჭირდება, რომ მას საგნობრივი კომპეტენცია აუცილებლად ჰქონდეს დადასტურებული, შემდეგ უკვე, პროფესიული განვითარების გზაზე, მათ სხვა მიმართულებებით დავეხმარებით.

როგორც ვითხარით, 26-მა პროცენტმა წარმატებით დაადასტურა კომპეტენცია და ზღვარი სრულად გადალახა 60-პროცენტის შედეგით. ვფიქრობ, იმ ადამიანებმა, რომლებსაც ერთი ან ორი ქულა დააკლდა, უკვე იციან სად აქვთ სისუსტეები და შეძლებენ საკუთარ თავზე მუშაობას, რომ ნოემბერში, განმეორებით დანიშნულ გამოცდაზე, უკეთესი შედეგები აჩვენონ. ამისთვის სამი თვე ექნებათ და, შესაბამისად, შედეგების გაუმჯობესებას ველოდებით. რეალურად, ეს შესაძლებელია, თუ მართლაც გადაწყვეტილი აქვთ პროფესიაში შემოსვლა და შემთხვევით არ მოხვდნენ გამოცდაზე.

– ბევრს მიაჩნია, რომ უსამართლობაა, როცა მასწავლებ-

პროფესიული განვითარება

ლობის მსურველი გამოცდაზე უმაღლეს ქულას იღებს, მოქმედი მასწავლებელი – მინიმალურს და მსურველი მაინც სისტემის მიღმა რჩება. რას უბასუბებთ ამ კითხვის ადრესატებს?

– შემიძლია გითხრა თუ რა იდგა იმ ლოგიკის უკან, როცა მოქმედი მასწავლებლებისთვის ნაწილობრივი კრედიტების სისტემა ავამოქმედეთ. ამით ჩვენ მოქმედ მასწავლებლებს პროფესიული განვითარების საშუალება მივეცით (სახელმწიფო უქმნის ყველა პრობლემას). შესაბამისად, ნაწილობრივი კრედიტების დაგროვების შემთხვევაში, პედაგოგი პროფესიული განვითარების სხვა აქტივობებში უნდა ჩართულიყო და ამით გაეუმჯობესებინა კომპეტენციები. რადგან გარე პირის (არამოქმედ მასწავლებელს) არ აქვს ამის შესაძლებლობა. მას გამოცდაზე მაქსიმალური 10 ქულა დაუწესეთ, მოქმედ მასწავლებელს კი – დაბალი ზღვარი და მივეცით საშუალება, ნაწილობრივ კრედიტების დაგროვების შემთხვევაში, ტრენინგების გავლით, სხვის გამოცდისთვის მოსმენით, სამუშაო შეხვედრებში ჩართვით, სხვა მასწავლებლებთან ერთად პროექტებში მონაწილეობით ემუშავა საკუთარ თავზე და კომპეტენციების გაუმჯობესებაზე. სწორედ ეს მიზანი იდგა დაგროვებით სისტემის შემოღების უკან. აქედან გამომდინარე, მასწავლებელს, რომელიც გამოცდაზე ნაკლებ კრედიტულას მიიღებდა, მეტი აქტივობის განხორციელება მოუწევდა, რომ სტატუსი აემდგინა (გამხდარიყო უფროსი) და რაც უფრო მაღალ ქულას აიღებდა – ნაკლებ აქტივობა რჩებოდა განსახორციელებლად. სწორედ ამიტომ გვყავს ეს მასწავლებლები ერთ სფეროში, რომ ფოკუსირებულად დაეცხმართ და მივცით პროფესიული განვითარების საშუალება.

რაც შეეხება ახალ შემოსულ კადრებს, რადგან ისინი ამ სფეროში არ არიან და მათთვის შესაბამისი თანხები ვერ იხარჯება, ვთხოვთ, სისტემაში უკვე დადასტურებული კომპეტენციით შემოვიდნენ. ამის გარდა, პროფესიაში შემოსვლა, მხოლოდ 60-კრედიტის პროგრამის გავლის შედეგად არ ხდება, რადგან კანონში არსებობს ჩანაწერი, რომ პროფესიაში შემოსვლის მსურველს, შეუძლია ჯერ სისტემაში შემოვიდეს და შემდეგ, ორი წლის განმავლობაში, დაადასტუროს კომპეტენცია. შესაძლებელია, სკოლაში მაძიებლის სახით დაიწყოს მუშაობა და დისტანციური კურსის პარალელურად, რომელშიც უკვე დასაქმებული მაძიებელი ავტომატურად ერთვება, დაადასტუროს საგნობრივი კომპეტენცია. მაძიებელს მხოლოდ ამის შემდეგ უღიარდება მასწავლებლობის კვალიფიკაცია და შეძლებს გახდეს უფროსი მასწავლებელი.

როდესაც პროცესულ რაოდენობაზე ვსაუბრობდით, ვთქვით, რომ შემოსვლების 26-ზე ცოტა მეტმა პროცენტმა გადალახა ბარიერი და სრულად მოაგროვა კრედიტები, თუმცა, ამის გარდა, დაფიქსირდა მოქმედი მასწავლებლების 55 პროცენტი, რომელმაც კომპეტენცია ნაწილობრივ დაადასტურა და მოიპოვა 1, 4, 7 კრედიტი – დარეგისტრირებული 22 ათასამდე მოქმედი მასწავლებლიდან ნახევარმა შეძლო კომპეტენციის ნაწილობრივი დადასტურება.

– აქვე მინდა გითხროთ, პრაქტიკოს მასწავლებლებს, იანვრამდე, რა შესაძლებლობებითა და აქტივობებით შეუძლიათ დარჩენილი კრედიტების შეგება?

– მასწავლებლებს აქვთ მოლოდინი, რომ ტრენინგებით შეიძლებენ დარჩენილ კრედიტულებს, მაგრამ, მინდა ვუთხრა, რომ ერთი სემესტრის განმავლობაში შესაძლებელია გაიარო მხოლოდ ერთი, ორი ან სამი კრედიტის შესაბამისი ტრენინგი. ამდენად, მათ არ გამოადგებათ მხოლოდ ტრენინგების იმედად ყოფნა. უმჯობესია, ჩახედონ აქტივობების ცხრილს, რომელიც საშუალებას მისცემს, ზუსტად დაინახონ, რა ტიპის დამატებითი აქტივობებით შეძლებენ დანაკლისი კრედიტების შეგებას. რაც მთავარია, მხოლოდ ცხრილს არ შეხედონ. ვურჩევ, ნაკითხონ ის კრიტერიუმები, რომლითაც თითოეული აქტივობა ფასდება. ეს კრიტერიუმები 2015 წლიდან მოქმედებს და ცენტრის ვებგვერდზეა (tcdp.ge) განთავსებული. ამ კრიტერიუმების მიხედვით დაგეგმონ აქტივობები, თავიანთ მოსწავლეებთან ერთად და გადაწყვიტონ რას განახორციელონ – იქნება ეს პროექტი, ისტ-ის გამოყენება სასწავლო პროცესში თუ სხვა აქტივობა, რაც პრაქტიკოსს კრედიტულის მოპოვების საშუალებას მისცემს.

რაც შეეხება შეფასების ვადებს, დეკემბერში სკოლა უკვე დაიწყებს მათ შეფასებას და ჩვენ იანვრის თვე გვექნება სტატუსის მისანიჭებლად. 31 იანვარი უკვე დათქმაა, როცა ყველას უნდა შევხდეთ სტატუსის მინიჭებულად. ხოლო ვინც ამ დროის შემდეგ, მაინც პრაქტიკოსი მასწავლებლის სტატუსით დარჩება, მას სკოლა, საჭიროებიდან გამომდინარე, კონტრაქტს გაუფორმებს.

– როგორც ვიცით, მოიხსნა კრედიტების დაგროვების ზღვარი – მასწავლებელს უფლება აქვს, ერთი წლის განმავლობაში, 5 კრედიტზე მეტი დააგროვოს.

– რეალისტები რომ ვიყოთ, ერთი სემესტრის განმავლობაში წარმოუდგენელიც კი არის 5 კრედიტზე მეტის დაგროვება. თუ მასწავლებელს თითო-თითო კრედიტი აქვს დაგროვილი გამოცდაზე და დანარჩენი ერთ სემესტრში უნდა შეავსოს, ამას ის ვერ მოახერხებს და თუ მინც მოახერხა, ეს უკვე ძალიან დიდ ეჭვს გააჩენს, რომ ყველანაირი ფურცელი გაყალბებულია და რეალურად არ არის შესრულებული. რამდენი პროექტი შეიძლება მოასწროს მასწავლებელმა რამდენიმე თვეში? მათ, ფაქტობრივად, ოქტომბერი და ნოემბერი რჩებათ აქტივობების განსახორციელებლად, რადგან დეკემბერში უკვე შეფასების ჯგუფმა უნდა შეაფასოს. ამიტომ ვიყოთ რეალისტები, თუ ასეთი დაბალი ქულები აქვს მასწავლებელს და უკვე დაგროვილზე ბევრად მეტის დაგროვება სჭირდება, უმჯობესია, დარეგისტრირდეს საშემოდგომო გამოცდაზე და განმეორებში სცადოს შედეგის გაუმჯობესება, ვიდრე რამდენიმე თვეში შეეცადოს 17 კრედიტულის დაგროვებას.

ერთმნიშვნელოვანი პოზიციაა – დაბალი კრედიტის მქონე პრაქტიკოსი მასწავლებლებისთვის ყველაზე მარტივი გზა

სტატუსის შესაცვლელად საშემოდგომო გამოცდაზე გასვლა და შედეგის გაუმჯობესებაა. თუმცა, მასწავლებლებმა აუცილებლად უნდა გაითვალისწინონ ისიც, რომ გადამწყვეტია ბოლო გამოცდაზე მიღებული შედეგი, რადგან წინა შედეგი ბათილდება. ეს წესი იმდენად ამოქმედდა, რომ დაუმეგებელია მასწავლებელი შემდეგ მცდელობაზე თავისი კომპეტენციის შედეგს იუარესებდეს, პირიქით, ვფიქრობ, მან წინა ჯერზე მიღებული შედეგი უნდა გააუმჯობესოს.

– გაზაფხულზე, თქვენთან ინტერვიუში ცნობილი გახდა, რომ იმ უფროსი მასწავლებლებისთვის, რომლებსაც სტატუსის ცვლილებისთვის მხოლოდ გარე დაკვირვების გავლა დარჩათ, შემოდგომაზე, სექტემბერში, დამატებით გამოაცხადებდით გარე დაკვირვებას და მათ შანსს მისცემდით.

– დიახ, უფროსი მასწავლებლებისთვის, როგორც შევპირდით, სექტემბერში გამოცხადდება გარე დაკვირვება. მათ მიეცემათ საშუალება, ერთი სასწავლო წლის განმავლობაში (რადგან მათი რაოდენობა საკმაოდ დიდია), გაიარონ გარე დაკვირვება. ბუნებრივია, ეტაპობრივად ჩაერთვათ მათ პროცესში, მაგრამ, ხაზგასმით მინდა ვთქვა, რომ უპირატეს მდგომარეობაში არავის არ ჩავყენებთ. მნიშვნელობა არ ექნება, თუ ვინ გაივლის პირველად და ვინ ბოლოს – მაისში, სტატუსის ერთდროულად მივანიჭებთ. ყველას თანაბარ პირობებში ვაყენებთ, უბრალოდ, იმ რაოდენობიდან გამომდინარე, რომელიც გარე დაკვირვების პოტენციური მსურველია, ერთდროულად ვერ შევძლებთ გარე დაკვირვების პროცესში ჩართვას. თავისთავად, ძალიან სასიხარულოა, რომ ამდენი უფროსი მასწავლებელი ემზადება წამყვანის სტატუსისთვის. ერთი სასწავლო წლის განმავლობაში ყველა შეძლებს გარე დაკვირვების პროცესში ჩართვას და იმედია, სტატუსის ამაღლებასაც.

– როგორ წარიმართა ვაკანსიების შევსების პროცესი?

– ეს პროცესები ძალიან საინტერესოდ წავიდა. პირველი ამოცანა სამინისტროსთვის იყო იმ მასწავლებლების რაოდენობის შემოწმება, რომლებიც სისტემაში არასრული განაკვეთით მუშაობდნენ. ამას დაემთხვა ისიც, რომ ეროვნულ სასწავლო გეგმაში შევიდა ცვლილებები, რომლის თანახმადაც უფროს, წამყვან და მენტორ მასწავლებელს სრულად უნდა შეესაბამებოდა საათების რაოდენობა და ამის შემდეგ უნდა განანიჭებულიყო პრაქტიკოსებისა და მაძიებლებისთვის დარჩენილი საათები. მოგეხსენებათ, ვაკანსიები და მასწავლებლები დასავლეთში იმდენად იმდენად, რომლებმაც დანესებული ჯილდოთი ისარგებლეს.

40 ათასამდე საათი ადგილობრივმა კადრებმა აითვისეს, რაც იმას ნიშნავს, რომ ეს მასწავლებლები აქამდე სრულად ვერ იღებდნენ ანაზღაურებას. სასიხარულოა, რომ მათ მიეცათ შესაძლებლობა, საათები დაემატებინათ და გაეუმჯობესებინათ მატერიალური მდგომარეობა. ამ ფაქტს, მხოლოდ და მხოლოდ, მივესალმებით და ვულოცავთ მათ. მეორე, მნიშვნელოვანი პროცესი, რაც ჯილდოდ დაწესებას მოჰყვა, არის ის, რომ, დაახლოებით, 4 ათასამდე ვაკანსია გამოცხადდა. კადრების შესარჩევად ჩატარდა კონკურსი და 2650-მდე ახალი კადრი უკვე შევიდა სკოლაში. თუმცა, იმის გამო, რომ ზოგან ვერ შეირჩა მასწავლებელი, ზოგან კონკურსი ჩავარდა ან არ მივიდა მსურველი, ვაკანსიები შეუვსებელი დარჩა. გვექონდა ფაქტები, როცა სხვა სკოლის მასწავლებელს ჰქონდა შემოტანილი განაცხადი ვაკანსიაზე და ხდებოდა გადაანაცვლება, ახლა იმ სკოლებსაც გამოუჩნდა ვაკანსიები, ვისი კადრიც სხვა სკოლაში წავიდა. სწორედ ასეთი გადაანაცვლებების გამო, დღეს ისევ გამოცხადებულია 1500 ვაკანსია. ველოდებით მეორე ეტაპს, როცა ვაკანსიების შესავსები კონკურსები დასრულდება და სრული სურათი გამოჩნდება – რამდენი ადამიანი შევიდა სისტემაში, მათ შორის რამდენია უფროსი და რამდენი მაძიებელი. ჯერ სტატუსიკაზე საუბარი ნაადრევია.

– გამოიკვეთა თუ არა მიმართულებები ან რეგიონები, სადაც კადრების უფრო მეტი დეფიციტი გაჩნდა?

– რა თქმა უნდა, და ამის მოლოდინი გვექონდა, რადგან წინასწარ გავაკეთეთ მოდელირება, რეალურად რომ შეგვეფასებინა სიტუაცია და რისკები. გადაწყვეტილებებსაც ამის შესაბამისად ვიღებდით. იანვარში ჯილდოს გაცემის მეორე ეტაპს კიდევ უფრო მომზადებული შეეხებებით. ველოდებით, რომ იმ მასწავლებლების სისტემაზე გასვლა, რომლებიც დეკემბრის პერიოდშიც ისარგებლებენ ჯილდოთი, ისევ გააჩენს ვაკანსიებს სკოლაში.

გეოგრაფიული ლოკაციიდან გამომდინარე, რა თქმა უნდა, დეფიციტი უფრო მეტია მაღალმთიანი სოფლის სკოლებში, საიდანაც, სამწუხაროდ, ინტენსიურად მიმდინარეობს მიგრაციული პროცესები. ადგილზე, ფაქტობრივად, კადრები აღარ არიან. ამის გარდა, სკოლებში ბავშვების რაოდენობაც მცირდება, ამასთანავე იმ ახალგაზრდების რაოდენობაც, რომლებიც პოტენციურად შეიძლება მასწავლებლები გამხდარიყვნენ. ისინი ტოვებენ სოფლებს და ქალაქში ჩამოდის საცხოვრებლად და დასასაქმებლად. პირველი, რასაც ველოდით, ეს იყო და ასეც აღმოჩნდა. კონკურსი, ზოგადად, ძალიან მაღალი იყო ქალაქებში – ერთ ვაკანსიაზე, დაახლოებით, 70-150 მსურველი დარეგისტრირდა. ძალიან დიდი და რთული პროცესების გავლა დასაჭირდათ კომისიებს იმისათვის, რომ მოკლე პერიოდში სრულად დაეფარათ და ყველას გასაუბრებოდნენ. მაღლობა მინდა გადავუხადო სკოლებს იმისთვის, რომ ძალიან მოკლე ვადაში ორგანიზებულად ჩაატარეს გასაუბრებები.

მეორე პრობლემა, რომელიც წარმოიშვა და ამაზე აუცილებლად მინდა ყურადღება გავამახვილო, გარკვეულ მიმართულებებში შექმნილი დეფიციტია. პირველ რიგში, ესენია: საბუნებისმეტყველო მიმართულების საგნები, მათ შორის, განსაკუთრებით, ფიზიკაში აღმოჩნდა დიდი დეფიციტი. მეო-

რე ნაწილი, სადაც, ასევე, დიდი დეფიციტი შეგვექმნა, არის სპორტის მასწავლებლების და ხელოვნების მიმართულება. აღმოჩნდა, რომ ძალიან ცოტაა ისეთი კადრი, რომელიც ამ საგნებში ასწავლის – ზოგადად, ვისაც აქვს საშუალება, რომ მასწავლებლად დასაქმდეს ამ მიმართულებით. რასაკვირველია, პრობლემის მოსაგვარებლად, სამინისტროსთან ერთად, გარკვეულ ნაბიჯებს გადავდგამთ და აუცილებლად ვიმოვიტოვებთ სასწავლოს.

– თუ გამოიკვეთა შემთხვევები, როცა გასაუბრებაზე კომისია ან დირექტორი გამოცხადებულ ვაკანსიაზე კადრს იმ უპირატესობით ირჩევდა, რომ ის გამოცდილი მასწავლებელია და არა საუკეთესო პოტენციურ მასწავლებელს – მაძიებელს, რომელიც შესაძლოა, სისტემისთვის მართლა დანაკარგი აღმოჩნდეს?

– პირველ რიგში, რა თქმა უნდა, სკოლები მასწავლებლებიდან თუ ვერ შეარჩევდნენ კადრს, შემდეგ ხდებოდა შერჩევა მაძიებლებიდან. მაგრამ თუ მაძიებელი ბევრად უფრო ჯობდა გასაუბრებაზე მისულ მასწავლებლობის შესაძლებლობის მქონე კადრს, არჩევანს მის სასარგებლოდ აკეთებდნენ. სტატისტიკასაც რომ გადავხედოთ, ვაკანსიების საერთო რაოდენობაზე, საშუალოდ, 20-დან 25 პროცენტამდე მაძიებლები მოდის, რაც იმას გულისხმობს, რომ სკოლებმა მეტი აქციენტი კვალიფიკაცია და კომპეტენციებზე გააკეთეს, თუმცა, ახალბედასაც მისცეს საშუალება, შემოსულიყვნენ სისტემაში. არ უნდა დავგავიწყდეს, რომ მასწავლებლად შემოვიდა, ასევე, ბევრი დამწყები მასწავლებელი, რომელმაც ახლახან დაამთავრა მასწავლებლის მომზადების 60-კრედიტის პროგრამა, ან კადრი, რომელსაც უნივერსიტეტის ბოლო კურსზე გამოცდის ჩაბარების საშუალება მიეცა და, ხშირ შემთხვევაში, მათი გამოცდილება მხოლოდ პრაქტიკაზე ყოფნით შემოიზღუდა. ასე რომ, ბევრი ახალი კადრი – ბევრი ახალგაზრდა – შემოვიდა სისტემაში. გასაუბრებებზეც სკოლა, კვალიფიკაციასთან ერთად, დაინტერესებული იყო ადამიანის ღირებულებებითაც – როგორ ხედავენ ისინი პროცესებს და რამდენად ღირებულია მასწავლებლობის მსურველისთვის თითოეული მოსწავლე და საკლასო ოთახი.

– როგორია საგარეულო სტატისტიკა – რამდენი მასწავლებელი შეიცვალა სტატუსს?

– 4100-მა მასწავლებელმა უკვე შეიცვალა სტატუსი და გახდა უფროსი. ეს ის მასწავლებლები არიან, რომლებსაც გამოცდის გარეშე ჰქონდათ სკოლებიდან წარდგინება. პირველ რიგში, რა თქმა უნდა, მათ მივანიჭეთ სტატუსი. ახლა უკვე გამოცდების შედეგებზე გადავალთ (გამოცდებისა და შეფასების ეროვნულმა ცენტრმა გადმოაგზავნა შედეგები). გამოცხადებთ ვადებს იმისათვის, რომ სკოლებმა წარმოადგინონ ის შედეგოვანი, რომლებიც გამოცდების შედეგად ელანია სტატუსის ცვლილებას. ასევე, ვმუშაობთ უფროსი მასწავლებლების სტატუსის ცვლილებაზეც, რომლებმაც წამყვანობა უნდა მიიღონ და ძალიან ახლო მომავალში მათ ამ სტატუსს მივანიჭებთ, ასევე, სისტემაში გვეყოლებინა ახალი მენტორებიც, ოქტომბრის ბოლოს, ზუსტი ციფრები გვეცოდინება, რამდენმა მასწავლებელმა შეძლო სტატუსის გაუმჯობესება ზაფხულის გამოცდების შედეგად და ასევე, ახალი შემოსული მასწავლებლების რაოდენობაც და როგორ განაწილდნენ ისინი – უფროსი მასწავლებლად თუ მაძიებლად.

სტატუსის მინიჭების მეორე ეტაპი იანვარში განხორციელდება, სასწავლო წლის ბოლოს კი, გარე დაკვირვების შედეგებით დავასრულებთ და უფროსი მასწავლებლებს წამყვანის სტატუსს მივანიჭებთ.

– დაბოლოს, როგორი წელი ელთ მასწავლებლებს და რა რჩევებს მისცემთ მათ?

– წლებიანდელი წელი სკოლებისთვის ძალიან განსხვავებული იქნება. გასაუბრებებს რომ ვესწრებოდი, იყო შემთხვევები, როცა დირექტორები ძალიან ნერვიულობდნენ, აპლიკანტებზე მეტადაც. მაგალითად, შევხვდი დირექტორს, რომელიც სკოლაში ორი ვადითაა არჩეული (12 წელია მუშაობს). მან მითხრა, რომ ძალიან ღელავდა, როგორ ჩაივლიდა შესარჩევი კონკურსი-გასაუბრება. ამის მიზეზი ის იყო, რომ 12 წლის განმავლობაში, მას არც ერთხელ არ ჰქონია სკოლაში ვაკანსია გამოცხადებული და მისთვის ასეთი კონკურსი სიასხლე აღმოჩნდა. კონკრეტული შემთხვევის გარდა, ვაკანსიების გამოცხადება და მასთან დაკავშირებული პროცესები ბევრი სკოლისთვის აღმოჩნდა სიასხლე, რადგან აქამდე სკოლა ჩაკეტილი სისტემა იყო, სადაც ძალიან მცირე ცვლილებები ხდებოდა და ცოტა ვაკანსია ჩნდებოდა. ამიტომ წელს სკოლები, ასე ვთქვათ, ამ კუთხითაც, ძალიან დიდი გამოწვევების წინაშე დგანან. სკოლა, ერთიანი ინსტიტუტია, რომელიც შემდგომში უკვე ჩამოყალიბებული ურთიერთობით, ახალი კადრების შესვლა მეტ მხარდაჭერას ითხოვს მისგან. ამიტომ ვფიქრობ, რომ ახალი სასწავლო წელი საინტერესო იქნება და მეტი პასუხისმგებლობის მომთხოვნიც – გამოცდილ მასწავლებლებსა და ახლბედა მასწავლებლებს შორის კავშირი უნდა შედგეს და გამოცდილმა კადრებმა ახალგაზრდებს დიდი მხარდაჭერა უნდა გამოუცხადონ, თუმცა, არა მარტო მასწავლებლებმა – დირექტორმა/ ადმინისტრაციამ, მასწავლებლებმა და მშობლებმაც კი. მათ ეს თანადგომა აუცილებლად დასჭირდებათ, რადგან საკმაოდ რთულია ახალ გარემოსთან შეგუება, მით უფრო, როცა ამის გამოცდილება თითქმის არ გაქვს.

მინდა, დიდი წარმატებები ვუსურვო სკოლებს და მასწავლებლებს, წინ ბევრი რეფორმა გვაქვს დაგეგმილი და ამ პროცესებში მათი გვერდში დგომა ჩვენც ისევე გვჭირდება, როგორც მათ ჩვენგან. ყველანაირად ვეცდებით, ვითანამშრომლოთ თითოეულ სკოლასთან და მასწავლებლებთან.

სკოლა გამოკვეთს თავის უნიკალურ სახეს

რა სიახლეებით იწყება ახალი სასწავლო წელი ეროვნული სასწავლო გეგმების მიმართულებით – ეს არის მთავარი კითხვა, რომელსაც ეროვნული სასწავლო გეგმებისა და სასწავლო რესურსების შეფასების სამმართველოს უფროსი მარიამ ჩიქოვაძე პასუხობს. გარკვეული სიახლეების გარდა, რომელიც ახალ სასწავლო წელს ეროვნული სასწავლო გეგმის შინაარსობრივი დანერგვისას განხორციელდება (განახლებული სასწავლო პროგრამები VII კლასში ყველა საგანში, ინკლუზიური განათლების მიმართულებით ალტერნატიული სასწავლო გეგმით მუშაობა და ა.შ.), ცვლილება შეეხოს სასწავლო გეგმის ადმინისტრაციულ ნაწილსაც და სკოლებს მეტი თავისუფლება მიეცეთ საბუნებისმეტყველების შეფასებისას. ცვლილების თანახმად, სამი პარიანტიდან, სკოლებს მათთვის სასურველი შეუძლიათ აირჩიონ და თავად მოამზადონ წლიური საგნობრივი პროგრამაც სტანდარტის მიხედვით ორიენტირებულად. ამ საკითხების გარდა, მარიამ ჩიქოვაძე ახსნის ახალ სასწავლო წელს რეფორმის მთავარ ორიენტირს – „ახალი სკოლის მოდელი“ მიმდინარეობაზე, რადგან მისივე თქმით: „რეალურად, ეს არის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის ხელშეწყობის პროგრამა, რომელიც ეხმარება სკოლებს თავიანთი უნიკალური სფეროების განვითარებაში, მათ შორის მათთვის სასურველი სფეროების განვითარებაში. მარიამ ჩიქოვაძე ახსნის ახალ სასწავლო წელს რეფორმის მთავარ ორიენტირს – „ახალი სკოლის მოდელი“ მიმდინარეობაზე, რადგან მისივე თქმით: „რეალურად, ეს არის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის ხელშეწყობის პროგრამა, რომელიც ეხმარება სკოლებს თავიანთი უნიკალური სფეროების განვითარებაში, მათ შორის მათთვის სასურველი სფეროების განვითარებაში.“

მთავარი სიახლეები

პირველ რიგში, წელს სიახლე იქნება განახლებული სასწავლო გეგმის დანერგვა VII კლასში, შესაბამისად, გვაქვს განახლებული სახელმძღვანელოები ყველა საგანში. მეშვიდე კლასს დამატებული ახალი საგანი – მოქალაქეობა. როგორც ცნობილია, აქამდე სამოქალაქო განათლება მხოლოდ მეცხრე-მეათე კლასებში იხსნებოდა, როგორც დამოუკიდებელი საგანი, ახლა საგნის სწავლებას უკვე მეშვიდე კლასიდან დაიწყებენ. ზოგადად, სამოქალაქო განათლების კომპონენტი დანერგვის საფეხურზეც გაძლიერებულია, მესამე-მეოთხე კლასებში შემოვიდა ინტეგრირებული კურსი „მე და საზოგადოება“ და საქმოდ წარმატებით მიმდინარეობს მისი დანერგვა, ასევე გაძლიერდა სამოქალაქო განათლების მიმართულება „ჩვენს საქართველოში“, მეხუთე-მეექვსე კლასებში. ამ ჩამონათვალს, კი მეშვიდე კლასიდან, დამოუკიდებელი საგნის სახით, „მოქალაქეობა“ შეემატება და მისი სწავლება გაგრძელდება მეშვიდედან მეათე კლასის ჩათვლით, თუმცა, დანერგვა ეტაპობრივად წარმართება.

საგანი ძალიან საინტერესო თემებს აერთიანებს, რაც ჩვენს ყოველდღიურ ყოფას, საზოგადოებასა და სკოლაში მიმდინარე პროცესებს ეხმარება. მაგალითად, ბუღინგს, მწვანე სკოლას – გარემოს დაცვასთან, ჯანსაღი ცხოვრების მიმართულ უნებუნებლობას დაკავშირებულ საკითხებს. საგანში შევიტანეთ, ასევე, ფინანსური წიგნიერების კომპონენტიც, რაც სრულადაა ახალი და, ეროვნულ ბანკთან ერთად, ამ მიმართულებაზე ერთობლივად ვიმუშავებთ.

დასრულებულია გრიფორების პროცესიც და მეშვიდე კლასში მოსწავლეები ეროვნულ გეგმებზე დაფუძნებული განახლებული სახელმძღვანელოებით შეუდგებიან სწავლას. მეშვიდე კლასში, საბუნებისმეტყველო საგნების მიმართულებითაც გვაქვს სიახლე. აქამდე საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში გვეკონდა კომბინირებული საგანი, რომელიც აერთიანებდა ფიზიკას, ქიმიასა და ბიოლოგიას და მას, ძირითადად, ერთი მასწავლებელი ასწავლიდა. ახალი სასწავლო გეგმის მიხედვით, კომბინირებული საგანი დაეშალა და ახლა მეშვიდე კლასში ბიოლოგია და ფიზიკა დამოუკიდებელი საგნის სახით შემოვა, ქიმიის სწავლება კი მერვე კლასიდან დაიწყება.

ვემზადებთ გრიფორების ახალი კონკურსის გამოსაცხადებლად, სავარაუდოდ, სექტემბრის ბოლოსთვის უკვე მერვე კლასის სახელმძღვანელოების გრიფორება გამოცხადდება.

რაც შეეხება ეროვნული სასწავლო გეგმის ადმინისტრაციულ ნაწილს, სკოლის ლიდერებისთვის/მენეჯერებისთვის ასეთი სიახლე გვაქვს – იმისთვის, რომ სკოლებს მეტი ავტონომიურობა მიეცეთ, მით უფრო, თუკი სკოლებს ვაძლევთ უფლებას, რომ წლიური პროგრამაც თვითონ მოამზადონ, მნიშვნელოვანია, მათ ჰქონდეთ თავისუფლება საბუნებისმეტყველების შეფასების თანახმად, სკოლებს სამ ალტერნატივას ვთავაზობთ: ერთი – ჩვეულებრივ, რაც აქამდე იყო – კვირული დატვირთვით განვიხილოთ საბუნებისმეტყველო დატვირთვა. ვისაც სურვილი ექნება, შეუძლია გავაყვას ამ საბუნებისმეტყველო და არაფერი შეცვალოს; მეორე ვერსიაა, თითოეული საგნისთვის დათმობილი ჯამური საათების სურვილის მიხედვით გადაინაწილება: მაგალითად, პირველ სემესტრში შეიძლება უფრო მეტად იყოს აკუმულირებული საათები საგნისთვის, ხოლო მეორე სემესტრში – უფრო მეტი საათი უფრო მეტად იყოს აკუმულირებული საათებისთვის. მესამე ვარიანტი ასეთია – სკოლა თვითონ განსაზღვრავს, თავიდან ბოლომდე, საბუნებისმეტყველო დატვირთვა, ამით უფრო კერძო სკოლები ისარგებლებენ. თუმცა, საჯარო სკოლებიდანაც შემოვიდა რამდენიმე ინიციატივა, რომ სურთ მესამე ტიპის ბადის არჩევა. ამ შემთხვევაში, სკოლებს ვთხოვთ, წარმოადგინონ დასაბუთება, რატომ უშლით ჩვენ მიერ განსაზღვრულ კვირული დატვირთვა – განვიხილოთ საბუნებისმეტყველო დატვირთვა – ხელს; რაში მდგომარეობს ცვლილების არსი და რატომ ფიქრობენ, რომ ისინი ამ ცვლილებებით და ახლად შექმნილი ბადით სასურველ შედეგს მიიღწევენ.



ბით და ახლად შექმნილი ბადით სასურველ შედეგს მიიღწევენ. სიახლეებს შორის, ასევე, მინდა, ყურადღება გავამახვილო „ახალი სკოლის მოდელი“ პროექტზე. რეალურად, ეს არის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის ხელშეწყობის პროგრამა. მართალია, წლების განმავლობაში, ტარდებოდა ტრენინგები და დიდი აქცენტი კეთდებოდა სახელმძღვანელოებზე, მაგრამ მსგავსი სისტემური მიდგომა ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის კუთხით, არასდროს ყოფილა. აქ ყველა კომპონენტია გააზრებული. რაც მთავარია, ეს გრძელვადიანად გათვლილი პროექტია.

რა მიდგომა ავირჩიეთ „ახალი სკოლის მოდელი“ – სკოლებში ვაგზავნი მხარდამჭერ ჯგუფებს, ეს არის 4-წევრიანი ჯგუფი, რომელიც შედგება: კურიკულუმის ექსპერტისგან, ტექნოლოგიების ექსპერტისგან, კურიკულუმის ასისტენტისგან და ლიდერობის სპეციალისტისგან. სკოლაში მხარდამჭერი ჯგუფი ყოველდღიური ქოუჩინგის რეჟიმში, პედაგოგებთან ერთად, გეგმავს სასწავლო პროცესს არა ცალკეული გაკვეთილებით, არამედ გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებით. სკოლებში საკუთარ ორიენტირებულ გზას სახავენ, თუ როგორ მიიღწეონ ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ საგნობრივ სტანდარტებს ცალკეული საგნების მიხედვით.

ჯერჯერობით, პროგრამა 65 სკოლაში დაწყებულია. ამ სკოლებში ერთი სემესტრი ვიყავით, მაგრამ რადგან პირველი ეტაპის სკოლებია, ამიტომ გადაწყვიტეთ, დამატებით, კიდევ ერთი სემესტრი დაერჩეთ. 2019 წლის შემოდგომაზე 65 სკოლას, რომელშიც ისევე ვაგვარძლებთ მუშაობას, კიდევ 100 სკოლა დამატდება, სადაც პირველ-მეოთხე კლასებში ამავე პრინციპით ვიმუშავებთ. სკოლებიც შერჩეულია და მხარდამჭერი ჯგუფებიც. ასე რომ, წელს, დამატებით, კიდევ 100 სკოლაში დაიწყება „ახალი სკოლის მოდელი“ დანერგვა, გაზაფხულზე 200 სკოლა დამატდება, შემოდგომაზე კიდევ 200 – საერთო ჯამში, 2020 წელს, ოთხასამდე სკოლა დამატდება. ხუთ წელიწადში კი, ყველა სკოლა უნდა მოვიცვათ.

რა შეცვალა სკოლაში „ახალი სკოლის მოდელი“

ჯერ შეფასება ნაადრევია, რადგან, საბოლოო ჯამში, ეს მოსწავლეთა შედეგებზე უნდა აისახოს. მაგრამ იმის თქმა, რა პროცესები დაიწყო, შეიძლება – სრულად გარდაქმნა სასწავლო პროცესის დაგეგმვა; პროექტში აქცენტი ორ მთავარ მიმართულებაზე კეთდება – სასკოლო კულტურის განვითარება და ამ პროცესში მოსწავლეთა აკადემიური პროგრესის დახმავა.

პირადად შეგხვდი 65-ე სკოლას და მხარდამჭერ ჯგუფს, რადგან მაინტერესებდა როგორ მიდიოდა პროცესები – სად რა პრობლემები იყო. პროექტის ფილოსოფია ამგვარია: პრობლემები ერთად უნდა დაგვიხმონ და ერთად უნდა გადავჭრათ. არ არის არც დასჯის და არც ნახალისების მომენტი, ყველაფერი თანამშრომლობას ემყარება. სკოლას ვეუბნებით, რომ თქვენი პრობლემა ჩვენი პრობლემაა და რომ წარმატებაც საერთო გვაქვს. მესმის, რომ ძალიან რთულია იმ ვერტიკალის დარღვევა, რაც წლების განმავლობაში იყო დამკვიდრებული – სამინისტროსგან მიდიოდა გარკვეული დირექტივები და სკოლებს ეს უნდა შეესრულებინათ. ამ შემთხვევაში, სკოლებს ვეუბნებით, რომ ჩვენ მათი პარტნიორები ვართ, ლიად უნდა ვისაუბროთ მათი პრობლემების შესახებ იმისთვის, რომ დავეხმაროთ. ამიტომაც ჰქვია „მხარდამჭერი ჯგუფები“, რომლის თითოეულმა წევრმა ძალიან კარგად იცის, არანაირი კონტროლი არ უნდა აწარმოონ პედაგოგებზე და სკოლებზე – ეს არის პროგრამა, რომელიც მხოლოდ თანამშრომლობაზეა აგებული და მონიტორინგის მიზანი კი – მხოლოდ მხარდამჭერია განვითარებისთვის.

„ახალი სკოლის მოდელი“ ყველა სკოლაში I-IV კლასებით დაიწყო, მაგრამ იანვრიდან, იმ 165 სკოლაში, რომელსაც გავლილი ექნება ეს საფეხური, უკვე V-IX კლასებში გვგვამთ პროგრამის დანერგვას. ახლა ვაგვივართ V-IX კლასების ინსტრუმენტების პილოტირებას (დოკუმენტაციის დატესტვა), რაც თბილისის 150-ე სკოლაში მიმდინარეობს.

მხარდამჭერი ჯგუფის წევრებიდან კურიკულუმის განვითარების ექსპერტებად მოქმედი, გამოცდილი პედაგოგები არიან, ზოგიერთი მათგანი ტრენერი, ლიდერობის სპეციალისტებიც ტრენერები, ან პედაგოგები არიან, ნაწილი დირექტორია. ძალი-

ან მნიშვნელოვანი სემინტია ასისტენტები – შევეცადეთ მოგვეზიდა ახალ უნივერსიტეტდამთავრებული ახალგაზრდები, გარკვეული სპეციალობის ან განათლების სპეციალისტები. ჩვენი სურვილია, საგანმანათლებლო სფეროში ახალგაზრდა ძალა „შემოვიტყუოთ“. ძალიან სასიხარულოა, რომ ეს პროცესები მათთვის იმდენად შთაბეჭდავი აღმოჩნდა, რომ, მათმა დიდმა ნაწილმა გადაწყვიტა, საგნის გამოცდა ჩააბაროს და თავისი მომავალი სკოლას დაუკავშიროს. ძალიან გვიხარია, სკოლებში ახალი ძალის შესვლა და ახალგაზრდული მუხტის შეტანა.

მოგეხსენებათ, პედაგოგების დიდი ნაწილი მაინც მიჯაჭვულია სახელმძღვანელოზე, სულ ეჩქარებათ, დროზე გაიარონ სახელმძღვანელო და რამე არ გამოჩნდეთ. ყველაფრის ახსნასა და ყველა ტიპის აქტივობის მოსწრებას ცდილობენ. მათ ვეუბნებით, რომ არსად გვეჩქარება, მთავარია, კარგად გაიარონ, სტანდარტით დადგენილი მიზნების მისაღწევ გზაზე რა უშუალოდური მიზნები შეიძლება არსებობდეს. „ახალი სკოლის მოდელი“ ფარგლებში, ძალიან მნიშვნელოვანი კომპონენტია კომპლექსური დავალებები, რომლებიც სწორედ უშუალოდური მიზნების როლს ასრულებს. მოსწავლემ, ვიდრე მოცემული თემის გავლას დაიწყებს, წინასწარ იცის ბოლოს რა კომპლექსური დავალება უნდა შეადგინოს. შესაბამისად, რა ცოდნა დასჭირდება მის შესასრულებლად, ამას მასწავლებელი ყოველდღიური აქტივობების სახით გეგმავს, ანუ მთელი სწავლა-სწავლების პროცესი ამისკენაა მიმართული. კომპლექსური დავალება იგივე პროექტული ტიპის დავალებაა და, საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე, ერთდროულად, მრავალ საგნობრივ ცნებაზე გადის. დავალებები, ძირითადად, რეალურ ცხოვრებასთან კავშირშია – ის, რაც მოსწავლეს ყოველდღიურად გამოადგება. პედაგოგს სრულად აქვს გააზრებული როგორ მიდის სტანდარტით განსაზღვრული შედეგებისკენ – მიზნობრივად დაგეგმილ პროცესში სახელმძღვანელო დასჭირდება, სხვა ტიპის ელექტრონული რესურსი თუ სხვა წიგნი, ამას უკვე თვითონ გადაწყვეტს.

„ახალი სკოლის მოდელი“ უმნიშვნელოვანესია შეფასების კომპონენტი. სკოლებში შესვლამდე პრემეფასება ჩავატარებთ, რაც, ერთი მხრივ, სასკოლო კულტურის კვლევას და, მეორე მხრივ, ყველა საგანში მოსწავლეთა აკადემიური ცოდნის დონის დადგენას გულისხმობდა. ერთი წლის შემდეგ, ისევე ჩავატარებთ შეფასებას, რომ ვნახოთ, გვაქვს თუ არა პროგრესი. პროექტის ფილოსოფიაა ყველა სკოლის დახმარება მისი საჭიროების შესაბამისად, სკოლები ერთმანეთს არ ეჯიბრებიან, არც პედაგოგები და კლასები, უბრალოდ, ამ შეფასებით გვაინტერესებს დაგინახოთ, თითოეული მოსწავლეს, კლასს აქვს თუ არა წინსვლა – უკეთესია თუ არა გუშინდელ დღეზე. სწორედ ეს არის მნიშვნელოვანი. საგნობრივი შეფასება სააზროვნო უნარების კვლევაზე ორიენტირებული ტესტით წარმართა – სასკოლო კულტურის მიმართულებით, ჩატარდა ჩალრმავებული ინტერვიუები პედაგოგებთან, მოსწავლეებთან, დირექტორებთან და ახლა შედეგების დამუშავება მიმდინარეობს. 65-ე სკოლას, სასწავლო წლის დასაწყისშივე მიენოდა თავისი პროფილი, რომ ზუსტად იცოდნენ, რომელია მათი სუსტი და ძლიერი მხარეები, რას მიაქციონ ყურადღება.

სახელმძღვანელოების ბრიფინგის პროცესის შეფასება

ეროვნული სასწავლო გეგმების სამმართველოს ფარგლებში, წელს, პირველად ჩატარდა გრიფორების პროცესი და ძალისხმევა არ დავიშურეთ მისი სრულფასოვნად წარმართვისთვის. მინისტრის ამბიციაც ეს იყო – პროცესი ყოფილიყო ძალიან ობიექტური, გამჭვირვალე და მაქსიმალურად თანამშრომლობაზე დაფუძნებული. ცხადია, ამ პროცესში ყოველთვის იქნება უკმაყოფილო მხარე (ის, ვისი სახელმძღვანელოც ჩავარდა), მაგრამ მთავარია, არავის დარჩეს განცდა, რომ ვიღაც უსამართლოდ დაიჩაგრა. სწორედ ეს იყო ჩვენი მიზანი და სამომავლოდაც ეს იქნება. სამწუხაროდ, პროცესი ძალიან დაჩქარებულ ვადებში მიმდინარეობდა, მაგრამ ამ ვადებშიც, მაქსიმალურად შევეცადეთ, რაც შეიძლება მეტი დრო მიგვეცა სახელმძღვანელოების დანერგვისთვის. მგონი პირველად მოხდა, რომ ერთი კლასის წიგნზე ავტორებმა 4 თვე იმუშავეს. ახლა გვგვამთ, კიდევ უფრო გავზარდოთ ეს დრო 5 თვემდე და გრიფორების შემდეგი ეტაპი უფრო ადრე დაიწყო. წელს, VIII კლასის სახელმძღვანე-

ესგ - მნიშვნელოვანი სვლილებები

ლოების გრიფირება გამოცხადდება, ასევე, გამოცხადდება VII კლასის ფრანგული ენისა და რუსული ენის სახელმძღვანელოების კონკურსი, რადგან წინა გამოცხადებაზე ფრანგულში განაცხადი არავის შემოუტანია, ხოლო რუსული ენის შემთხვევაში - გრიფი ვერც ერთმა სახელმძღვანელომ ვერ მიიღო.

წინა გრიფირების პროცესი კარგად გავაანალიზეთ. პირადად მე, ძალიან ბევრი შეხვედრა მქონდა გამომცემლებთან, ფიზიკურ პირებთან, ვთხოვედი, ეთქვათ თავიანთი მოსაზრებები, რადგან მათი თვალთ დახაზული ხარვეზები და შენიშვნები შემდეგი ეტაპის სრულყოფისთვის მნიშვნელოვანია. მათი შენიშვნებიდან ბევრი რამ მართლაც გავითვალისწინეთ. მაგალითად, დავამატეთ კონცეფციის შეფასების ეტაპი - ადრეულ ეტაპზევე, როგორც კი გამოცხადდება კონკურსი, ერთ თვეში, ვთხოვთ გამოცემლებს (ცხადია, ვისაც სურვილი ექნება), წარმოადგინონ, რა კომპონენტებისგან შედგება ერთი საჩვენებელი თავი, რომ წინასწარვე ვუთხრათ სწორი გზით მიდიან თუ არა, გარკვეულ რეკომენდაციასაც მივცემთ. გარდა იმისა, რომ საგნობრივი ექსპერტების კონსულტაციები გვაქვს დაგეგმილი, წელს კიდევ უფრო მეტი ყურადღება რეცენზენტებს დაეთმობათ. წინა წლებში, გრიფირების პროცესში, მოგესხენებთ, ძალიან ბევრი რეცენზენტი იყო ჩართული, დაახლოებით, 200-მდე (მეტ-ნაკლები უმცაყოფილება ამ კუთხითაც იყო). რეცენზენტს აუცილებლად უნდა შეეძლოს თავისი აზრის დასაბუთება და მკაფიოდ არგუმენტირება, მან პასუხისმგებლობა უნდა აიღოს იმაზე, რომ მისი შეფასება ობიექტურია, რომ არ მოერიდება არც შენიშვნის მიცემას და არც უარყოფითი ქულის დანერგას, თუკი ეს საჭირო გახდება. გრიფირების პროცესში მონაწილე ყველა რგოლმა კარგად უნდა გაიაზროს, რომ საბოლოოდ ყველაფერი ბავშვებს ეხება.

გასული წლის ხარვეზი - „თამაშობანი“ დარჩენილი მაღალქულიანი სახელმძღვანელოები

შარშანდელისგან განსხვავებით, წელს ეს პრობლემა არ დამდგარა, იმიტომ, რომ თუკი მაღალქულიანმა სახელმძღვანელომ გრიფი მიიღო, მიუხედავად იმისა, რამდენმა სკოლამ აირჩია, მაინც დაიბეჭდა. თუმცა, ხარვეზი იყო სხვა მიმართულებით (მივიღე ინფორმაცია გამომცემლებისგან და ერთი-ორი პედაგოგიც შეგვეხმინა), რომ სკოლებში მაინც ჰქონდა ადგილი ცალკეულ შემთხვევებს, როცა მასწავლებელმა ვერ გააკეთა არჩევანი, რადგან გადაწყვეტილება დირექციამ მიიღო. ამიტომ ამ მიმართულებითაც ვმუშაობთ და გვეგმავთ, ეს პროცესი უფრო სრულყოფილად წარმართოს, გამომცემლებს წინასწარვე მივცეთ შესაძლებლობა, სკოლებთან შეხვედრები ჩაატარონ. უფრო მეტიც, გვინდა, ჩვენ ჩავუდგეთ ამ პროცესს სათავეში, რომ ყველა მასწავლებელამდე მივიდეს ახალი სახელმძღვანელოს შესახებ ინფორმაცია და მას ჰქონდეს დრო მის გასაცნობად, რომ არჩევას, რეალურად, მისი ხმა დაფიქსირდეს. ამიტომ, ამ კუთხით, ადრეულ ეტაპზევე დავიწყებთ მზადებას.

გოგაბაშვილის „დედა ენის“ დაბრუნების შესახებ

მხოლოდ მოკლე კომენტარით შემოვიფარგლები, რადგან პირადად ნაკლებად ვიყავი ამ პროცესებში ჩართული. „დედა ენა“ სპეციალურმა კომისიამ შეინიშნა და საჩუქრად გადაეცემა ყველა სკოლას. თუმცა, ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ აქამდე რა წინგითაც ასწავლიდნენ, მაგალითად, პირველ კლასში, ახლა აუცილებლად ამ „დედა ენით“ უნდა ჩაანაცვლონ. უბრალოდ, ეს არის საჩუქარი სამინისტროსგან და ვისაც სურვილი ექნება, შეუძლია ის სასწავლო პროცესშიც გამოიყენოს.

გამოსვლი - 2020

2020 წელს აბიტურიენტები ერთიან ეროვნულ გამოცდას ახალი მოდელით ჩააბარებენ

გამოცდაში ჩატარდება სამ სპეციალურ საბანში:

- 1. ქართული ენა და ლიტერატურა;
2. უცხოური ენა;
3. მათემატიკა/ისტორია.

მესამე გამოცდა დამოკიდებულია პროგრამებზე. ტექნიკურ და საბუნებისმეტყველო მიმართულებებზე აბიტურიენტები მათემატიკას, ჰუმანიტარულზე - ისტორიას, ხოლო პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე, დარგთაშორისი მიმართულებების არჩევას ისტორიას ან მათემატიკას ჩააბარებენ.

უმაღლესმა სასწავლებლებმა (რომლებსაც ამის სურვილი ჰქონდათ) უკვე განსაზღვრეს საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით სავარაუდო დამატებითი საგამოცდო საგნები, შემდეგი ჩამონათვალიდან: ბიოლოგია, ქიმია, ფიზიკა, ზოგადი უნარები, გეოგრაფია, ლიტერატურა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება, სამოქალაქო განათლება.

სამედიცინო საგანმანათლებლო დაწესებულებების ინიციატივის გათვალისწინებით, ჯანდაცვის საგანმანათლებლო პროგრამებზე სავალდებულო ოთხი გამოცდა იქნება:

- 1. ქართული ენა და ლიტერატურა;
2. უცხოური ენა;
3. ბიოლოგია;
4. მათემატიკა/ქიმია/ფიზიკა (აბიტურიენტი ირჩევს მინიმუმ ერთს). მეოთხე საგნისათვის გამოყოფილი იქნება კვოტირებული ადგილები, თითოეულ საგანზე არანაკლებ 30%-ისა.

რაც შეეხება სახელოვნებო-შემოქმედებით/სასპორტო საგანმანათლებლო პროგრამებს, მათზე ჩასარიცხად აბიტური-

ბუქების რეალური ფუნქცია

ბუქები პირველკლასელებს ისევ გადაეცათ საჩუქრად და, რაც მთავარია, ბოლოს და ბოლოს, მან რეალური ფუნქციაც შეიძინა. „ახალი სკოლის მოდელი“ ერთი დიდი მიმართულება ტექნოლოგიების მიზნობრივი ინტეგრირებაა სწავლა-სწავლების პროცესში. სამწუხაროდ, როცა პროექტის ფარგლებში საჭირო გახდა ბუქების მიზნობრივად გამოყენება, აღმოჩნდა რომ მათი უმეტესობა რეალურად მწყობრიდან იყო გამოსული და ვერ გამოიყენებდნენ. ამიტომ ბუქების რესურსი გავაძლიერეთ და, „ახალი სკოლის მოდელის“ ფარგლებში, მას უკვე აქტიურად გამოიყენებენ. ამდენად, აღარ იქნება არც ფუჭად დახარჯული მილიონები და არც ბუქი - მხოლოდ პირველკლასელის საჩუქრად ქცეული ნივთი, ამიერიდან ის რეალურ დატვირთვას შეიძენს.

ევროპული ენების სწავლება

სიმართლე გითხრათ, უკმარისობა მაქვს მე პირადად ევროპული ენების სწავლების კუთხით და ვფიქრობ, ფრანგულ ინსტიტუტთან და გოეთეს ინსტიტუტთან ერთად, დავგეგმოთ ლონისძიებები, რომ სკოლებში გაძლიერდეს ევროპული ენების სწავლება. ხშირად მშობლები არჩევენ რუსული ენის სასარგებლოდ აკეთებენ, რისი საწინააღმდეგო არაფერი გვაქვს, მაგრამ ძალიან დაჩაგრულია ფრანგული და გერმანული ენები, ზოგადად, ევროპული ენები. ამიტომ, გვინდა კარგად ავუსხნათ მშობლებს, რომ ჩვენი შეიღების მომავალს სწორედ ხარისხიან საგანმანათლებლო ინსტიტუტებში, ანუ ევროპის უმაღლეს სასწავლებლებში სწავლის გაგრძელებაში ვხედავთ, რომ ახლა ძალიან ბევრი შესაძლებლობაა გრანტების მოპოვების კუთხით და ამისთვის აუცილებელია ევროპული ენების აკადემიურ დონეზე ცოდნა. ამიტომ მნიშვნელოვანია, უპირატესობა სწორედ ევროპული ენების სწავლებას მივანიჭოთ. რუსული ენის სასაუბროდ (მაგალითად ტურისტებთან) გამოსაყენებლად კი, სრულიად საკმარისია მოსწავლეებისთვის საშუალო საფეხურზე შეთავაზებული რუსული, როგორც მესამე უცხოური ენა. ამ კუთხით, გვინდა მეტი საინფორმაციო კამპანია ვწარმოოთ და მშობლები დავარწმუნოთ, რამდენად მნიშვნელოვანია ევროპული ენების სწავლება.

ალტერნატიული სასწავლო გეგმა - ინკლუზიური განათლება

ინკლუზიური განათლების მიმართულებით სიახლეა ალტერნატიული სასწავლო გეგმის დამტკიცება მძიმე გონებრივი დარღვევის და აუტისტიური სპექტრის მქონე მოსწავლეებისთვის. მართალია, აქამდე სკოლები რაღაცნაირად ახერხებდნენ ეროვნული სასწავლო გეგმიდან ამ საჭიროების მქონე მოსწავლეებისთვის ინდივიდუალური გეგმის შედგენას, მაგრამ, ეს მათ ძალიან უჭირდათ. ამიტომ, ეროვნულ სასწავლო გეგმაზე დაყრდნობით, სრულიად მოდიფიცირებული და ძალიან პრაქტიკული დოკუმენტი მომზადდა ყველა საგანში - ქართული, მათემატიკა, ხელოვნება, მუსიკა, სპორტი, ტექნოლოგიები. იმედი გვაქვს, მასწავლებლისთვის ეს მართლაც კარგი დამაკავალანებელი სახელმძღვანელო გახდება. ეს მათ ინდივიდუალური გეგმის შედგენას გაუადვილებთ - ერთგვარი ხიდი იქნება ეროვნულ სასწავლო გეგმასა და ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას შორის.

სკოლა გამოკვეთს თავის უნიკალურ სახეს

ძალიან დიდი იმედით ვხედვით ამ სასწავლო წელს. რეფორმის ყველაზე მთავარი მიმართულება მაინც „ახალი სკოლის მოდელია“, იმის მიუხედავად, რომ ჯერ ცოტა სკოლა ჩართული (ჯამში 165), ისეთი ტალღა გავრცელებული და იმ-

დენი სკოლა რეკავს და ინტერესდება, როგორ ჩაერთოს, რომ პერსპექტივა საიმედოა.

ყველას განურჩევლად ვუსურვებ წარმატებას და მიველოცავ ახალი სასწავლო წლის დაწყებას. „ახალი სკოლის მოდელი“ ჩართულ პირველი ნაკადის სკოლებს მინდა განსაკუთრებული მადლობა გადავუხადო თავგანწირვამდე მისული შრომისთვის.

მიუხედავად იმისა, რომ პროექტის დაწყებამდე, გააზრებული გვექონდა, რა რთული და კომპლექსური იქნებოდა პროცესი, მაინც წარმოუდგენელი იყო ის შრომა, რაც მათ გასწიეს (ერთი მხრივ - მხარდამჭერმა ჯგუფებმა, მეორე მხრივ - სკოლებმა). სწავლის შუა პერიოდში, როცა სკოლებს ისედაც უამრავი სხვა მიმდინარე საქმე ჰქონდათ, თავს დაატყდათ რეფორმის ტალღა. პირველმა სირთულეებმა სწორედ მათზე გადაიარა.

სულაც არ არის მარტივი, გადახედო საკუთარ მრავალწლიან პრაქტიკას, კრიტიკულად შეაფასო და მერე სწავლა-სწავლების სრული ტრანსფორმაცია დაიწყო, ახალი მიიღო. მესმის პედაგოგების, რომლებიც თავიდან, ალბათ, ძალიან სკეპტიკურად შეხედნენ პროექტს. ძალიან რთულია, დამოუკიდებელი საგაკვეთილო პროცესის მერე, დამატებით, ყოველდღიურად, რამდენიმე საათი დაჯდეს და კიდევ გონებრივი სამუშაო განიო, თან როცა არ იცი, ბოლოს რა შედეგს მიიღებ, რამე გამოვა თუ არა. ამიტომ მინდა პედაგოგებმა იცოდნენ, რომ ჩვენ ძალიან გვექვირფასება ყველა წუთი, რომელიც თქვენ დახარჯეთ, ყველა მატრიცა, რომელიც თქვენ შეასეთ, ყველა კომპლექსური დავალება, რომელიც თქვენ მოიფიქრეთ. შეიძლება ზოგიერთი მათგანი იდეალური არ არის, მაგრამ ეს სიტყვა, ამ შემთხვევაში, პირობითია, მთავარია, რომ დაინახეთ და დასახეთ თქვენი ორიგინალური გზა, რომელიც სასწავლო მიზნებამდე მიგიყვანთ, რომელსაც კიდევ ბევრჯერ შეცვლით და მოარგებთ მოსწავლეებს. ახალი თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მთავარი მოთხოვნაც ეს არის, რომ სამიზნე (სტანდარტი) ყველასთვის ერთია, მაგრამ იქამდე მისასვლელი გზა ყველა სკოლისთვის განსხვავებული.

„ახალი სკოლის მოდელი“ ფარგლებში ნათლად ვხედავთ, როგორ კვალავენ ამ გზას თავად სკოლები და პედაგოგები. ამიტომ ის სასკოლო კურიკულუმები ჩვენითვის უფრო ძვირფასია, ვიდრე ექსპერტების მიერ, თუნდაც, იდეალურად შედგენილი დოკუმენტები. თქვენი ნაფიქრი თითოეულ სკოლას უნიკალურიობასა და ორიგინალურობას ანიჭებს, მას გამოიჩეულსა და განსაკუთრებულს ხდის.

ახლა გარდამტეხი მომენტი დგება. ახალი სასწავლო წლიდან, ყოველდღიურ საგაკვეთილო პრაქტიკაში, უნდა დაინახოთ ის ყველაფერი, რაზეც პედაგოგებმა ამდენი იმრომით. ახლა დგება მომენტი, როცა თქვენ მიერ დაგეგმილი პროცესი ან ქალაქზე დაწერილი დარჩება, ან მდგრადად დაინერგება კლასში. ამ პროცესს მხოლოდ ჩვენ არ ველით მოუთმენლად, არამედ ის ასი სკოლაც, რომელიც სექტემბრიდან ერთვება პროექტში, ასევე, შემოგყურებენ სხვა პედაგოგები, რომელთა სკოლები მომდევნო წლებში ჩაერთვებიან.

მუდმივად ვეუბნები ჩვენს ქოუჩებს (მწაფავებს), სკოლის ლიდერებსა და პროექტში ჩართულ პედაგოგებს - თქვენი იმედი გვაქვს, თქვენ ხართ ჩვენი მეომრები, ასეც ვიტყვით - ბრძოლის ხაზი გადის თქვენზე. მართლა ბრძოლაა ეს ყოველდღიური დამოუკიდებელი შრომა, თუმცა, ჯილდოც შეუფასებელია - როცა დარწმუნდებით, რომ ამ ყველაფერს მოსწავლეებიც იგრძნობენ, როცა საკლასო ოთახში დაინახავთ, რომ რაღაც გამოდის; თუნდაც, ერთი ნაბიჯით ნახვალთ წინ და იტყვით, რომ გუშინდელთან შედარებით დღეს უკეთესი შედეგია.

ესაუბრა ლალი ჯილაძე

გამოსვლი - 2020

- ❖ სამართალი - ზოგადი უნარები, ლიტერატურა;
❖ საერთაშორისო სამართალი - ზოგადი უნარები;

2. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

- ❖ სამართალი - ზოგადი უნარები, ლიტერატურა, სამოქალაქო განათლება;

3. საქართველოს უნივერსიტეტი

- ❖ ბიზნესის ადმინისტრირება - ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია, ზოგადი უნარები, გეოგრაფია, ლიტერატურა;
❖ ბიზნესის ადმინისტრირება ინგლისურენოვანი პროგრამა - ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია, ზოგადი უნარები, გეოგრაფია, ლიტერატურა;
❖ ეკონომიკა - ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია, ზოგადი უნარები, გეოგრაფია, ლიტერატურა;
❖ საჯარო მმართველობა - ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია, ზოგადი უნარები, გეოგრაფია, ლიტერატურა;
❖ სტრატეგიული კომუნიკაციები - ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია, ზოგადი უნარები, გეოგრაფია, ლიტერატურა;

4. ჯიბა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი

- ❖ აუდიო-ვიზუალური და მედია ხელოვნება - ლიტერატურა;
❖ სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება.

იმ საგნების პირველადი ჩამონათვალის სრული ვერსია, რომლებიც აბიტურიენტებმა უნდა ჩააბარონ კონკრეტულ პროგრამაზე ჩარიცხვის შემთხვევაში, იხილეთ ჩვენს ვებგვერდზე www.axaliganatleba.ge

რაფორმა

როგორ და ვინ შეაფასებს სკოლებს „როსა სკოლა ცულად მუშაობს, ეს სკოლის დირექტორის ბრალია“

რეფორმის ფარგლებში, სამინისტრო სკოლების კომპლექსურ შეფასებას გეგმავს, რომელიც, პირველ რიგში, დიფერენცირებულ მიდგომას დაეფუძნება და კატეგორიულად გამოირჩევა დასჯაზე ორიენტირებას. უმთავრესი პასუხისმგებლობა პროცესში დირექტორს დაეკისრება, ვაუჩერული დაფინანსების სისტემა კი უფრო მიზნობრივი დაფინანსების სისტემაზე გადავა.

რა გზით აპირებს სისტემა სვლას – როგორ და ვინ შეაფასებს სკოლებს? – ამის შესახებ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორმა, ბერიკა შუკაკიძემ, რადიოგადაცემაში („ჩვენი სკოლა“) ისაუბრა. მან მოსწავლეს აკადემიურ მოსწრებაზე მოქმედ ფაქტორებს შორის, მასწავლებლის შემდეგ, მეორე ფაქტორად, სკოლის ხელმძღვანელობა დაასახელა. მისივე თქმით, საინტერესოა, რომ სკოლის დირექტორობა არც პროფესიულად განიხილება და არც თანამდებობად. ცენტრის ხელმძღვანელმა სკოლა ფეხბურთის გუნდს შეადარა და დასძინა, რომ ასეთი მსგავსება მსოფლიოში მეტი არც ეგულება.

„სკოლის დირექტორებს ტრენინგზე ერთ რამეს ვეუბნებთ, თუ სკოლა კარგად მუშაობს (ფეხბურთის გუნდი და სკოლა ძალიან ჰგავს ერთმანეთს), მასწავლებლების დამსახურებაა, ხოლო, როცა ცუდად მუშაობს, ეს სკოლის დირექტორის ბრალია. ასევეა ფეხბურთის გუნდიც – იგებს გუნდი, ნიშნავს, რომ ფეხბურთელებმა მოიგეს, აგებს გუნდი, ნიშნავს, რომ მწვრთნელმა წააგო.“ – აღნიშნა მან.

სკოლის კომპლექსურად შეაფასებლად ბერიკა შუკაკიძემ ხუთი მთავარი კომპონენტი დაასახელა: **სწავლა-სწავლების პროცესი, დისციპლინა, ადამიანური რესურსი, ფინანსური რესურსი და მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.** მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ ამ ხუთი კომპონენტით სკოლის შეფასება დასჯაზე ორიენტირებული არ იქნება. მაგალითად მოიყვანა, წლების განმავლობაში, ამერიკაში მოქმედი პროგრამა, რომლის მიხედვითაც, თუ სკოლა წაყენებულ მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებდა, სთავაზუნდნენ. „სად გინახავთ მშობელი, რომელიც შვილის იმისთვის სჯიდეს, რომ ავადა? ბავშვს, რომელიც ავად არის, სწორედ მაშინ სჭირდება მეტი ზრუნვა, მეტი ენერჯია და ფულის ხარჯვა, მეტი დროის დათმობა, რომ გამოაკეთო. ამიტომ, ჩვენ რომ მივადგეთ ახლა სკოლებს და

იმის გამო დავხურთ, რომ ამ ხუთი კომპონენტით ისინი კარგად ვერ მუშაობენ, გამოვა, რომ ჩვენ თავს ვისჯით. როგორ შეიძლება სახელმწიფომ დასაჯოს სკოლა იმის გამო, რომ თვითონ ვერ ასრულებს მასზე დაკისრებულ მოვალეობას.

ამ მიდგომის შეცვლას სხვაგვარი მიდგომით ვაპირებთ. ჩამოთვლილ კრიტერიუმებს ექნება სამი დონე, რომლის მიხედვით შევაფასებთ სკოლებს. მაგალითად, მივედით საქაშეთის სკოლაში (გორის რაიონი), შევაფასებთ სწავლა-სწავლების პროცესს (პროცესში იქნება, დაახლოებით, 20-30 ცვლადი), ოღონდ ეს წინასწარ ეცოდინება სკოლას, რომ გამოჭერის მიზნით არ მივიდეთ. თუ დაუდგინეთ, რომ ისინი არიან მესამე დონეზე, უნდა შევიშუბროთ სტრატეგიული გეგმა და ამ პროცესში დიდი პასუხისმგებლობა დირექტორს დაეკისრება. მან სასწავლო პროცესის მოხილვება ისე უნდა მოახდინოს, რომ მომავალ წელს მეორე დონეზე გადავიდნენ. ბუნებრივია, სტრატეგიული გეგმისთვის სკოლებს მეტი თანხა დასჭირდება და ყბადაღებული ვაუჩერული დაფინანსების სისტემა უფრო მიზნობრივი დაფინანსების სისტემაზე გადავა. მაგალითად, როგორ ვიქცევით სახლში, თუ საქვაზე გაფუჭდა? როიალს ხომ არ ვიყიდით? – სადაც გვიჭირს, იქ მეტს ვხარჯავთ და ვაკეთებთ საქვაბეს. იგივე მიდგომა იქნება აქაც – ჩვენ სადაც გვიჭირს და გვინდა მდგომარეობის გაუმჯობესება, თანხებაც იმ მიმართულებით მივმართავთ. აქედან გამომდინარე, როდესაც სკოლას დაუდგინდება, რომ მას დისციპლინასთან დაკავშირებული პრობლემები აქვს, თანხასაც და ადამიანურ რესურსსაც იქით მიმართავს. ამიტომ არასწორია, ახლა გამოვიდეთ და პირდაპირ დავადანაშაულოთ პირველი ექსპერიმენტული ან 51-ე სკოლა, სადაც 2300-2400 ბავშვი სწავლობს, რომ დისციპლინაში არ აქვთ კარგი მდგომარეობა. აბა, გაუმკლავდით ამდენ მოსწავლეს, როგორი იოლია. მათ აუცილებლად სჭირდებათ ფსიქოლოგისა და რესურსოციტის დახმარება. ამიტომ, მაგალითად, თუკი 51-ე სკოლას კარგი მდგომარეობა აქვს სასწავლო პროცესში, მაშინ მეტი რესურსი უნდა დახარჯოს დისციპლინისთვის. აი, ასეთ დაფერენტირებულ მიდგომას გულისხმობს სკოლების შეფასების კომპლექსური სისტემა.“

ცენტრის დირექტორი, დღევანდელი განათლების სისტემის ბევრ გამოწვევას შორის, უპირველეს პრობლემად მაინც იმ უნიფიცირებული განათლების სისტემას ასახელებს, რომე-



ლიც ათწლეულების განმავლობაში გვექონდა: „როგორი გონიერიც უნდა ვიყო, როგორი გონიერი თანამშრომლებიც მყავდეს და რა მაგიური ძალებიც არ უნდა გამაჩნდეს, ჩხორონყუს რაიონის სოფელ ხაბუმეს სკოლის ერთ კონკრეტულ საკლასო ოთახში რა ხდება (საქართველოში 45 ათასი საკლასო ოთახია) მაინც ვერ გავიგებთ. ამიტომ ჩვენ უნდა გადავიდეთ სკოლის ბაზაზე პროფესიულ განვითარებაზე და ერთხელ და სამუდამოდ ვენდოთ სკოლას. დღევანდელი განათლების მინისტრის ხედვაც ეს არის (რამდენიმე პროფესიონალი სწორედ ამ ხედვის გარშემო შემოვიკრიბეთ). ხედვა ასეთია: განათლების მინისტრი უნდა მენდოს მე, მე – დირექტორს, დირექტორი – მასწავლებელს და მოსწავლეს. ჩვენს საზოგადოებას (მოგესვენებათ, პოსტსაბჭოთა ქვეყანა ვართ და საბჭოთა საზოგადოებაში უნდობლობის დათესვა და ზედმეტი კონტროლი ერთ-ერთი მთავარი მეთოდი იყო), ეს უნდობლობა აღარ გვეჭირდება. დარწმუნებული ვარ, ძალიან კარგად გესმით, რომ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი ვერანაირად ვერ შეძლებს 58684 პედაგოგისა და 2083 საჯარო სკოლის გაკონტროლებას, ეს უტოპიაა და ვისაც ამის სჯერა, ვეტყვი, რომ ისევ საბუთომანიაზე მივალთ.“

მომზადდა ლალი ჯეღაძემ

ახალი ახვაპი

მეცნიერებისა და ინოვაციების ფესტივალის გაიხსნა

თბილისის საკრებულოს თამარ მეფის დარბაზში მეცნიერებისა და ინოვაციების ფესტივალის, განათლების რეფორმის ერთი წლის შემაჯამებელი ანგარიშის პრეზენტაციით, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრმა მიხეილ ბატიაშვილმა გახსნა.

განათლების რეფორმის შემაჯამებელი ანგარიშის პრეზენტაციაზე სიტყვით გამოსვლისას, მინისტრმა ერთწლიანი მუშაობა შეაჯამა და ახლო მომავალში დაგეგმილ სიახლეებზე ისაუბრა.

„დღეს წარმოვადგენთ ერთი წლის ანგარიშს – რა ვაკეთდა და რის ვაკეთებდა ვაპირებთ უახლოეს პერიოდში. რეფორმა მოიცავდა ყველა მიმართულებას – სკოლამდელ, ზოგად, პროფესიულ, უმაღლეს განათლებასა და მეცნიერებას.“

ევროპული ხარისხი განათლების სფეროში – ეს ჩვენი სტრატეგიაა. რეფორმის დაწყების პირველივე დღიდან ჩვენი მიზანია ევროპული მაჩვენებლები, რომელსაც უნდა მივალნიოთ. ამიტომ ის გზა, რომელიც ჩვენ ავირჩიეთ, სწორედ ამ ევროპული ხარისხის განათლებაზე გადის. ეს გახლავთ მთლიანად სისტემაში ევროპული მოდელის დანერგვა, იქნება ეს სკოლის უსაფრთხოება, თანამდეროვე სტანდარტების ინფრასტრუქტურა, პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობა, სწავლების პროცესში ინოვაციური მიდგომებისა და ტექნოლოგიების დაწერვა, პედაგოგთა სახელფასო პოლიტიკა თუ უმაღლესი განათლების დაფინანსების ახალი მოდელი. ამ მიმართულებებით, უკანასკნელი ერთ წლის განმავლობაში, განათლების სისტემაში უპრეცედენტო ცვლილებები განხორციელდა და პროცესი კვლავაც გაგრძელდება“ – განაცხადა მიხეილ ბატიაშვილმა.

მაიკროსოფტის რეგიონალური დირექტორმა, გენერალურმა მენეჯერმა, კალინ დიმიტრევმა განათლების რეფორმა, ტექნოლოგიების მიმართულებით, დადებითად შეაფასა. აღნიშნა, რომ მთავრობას ამბიციური და პროგრესული გეგმა აქვს, თუ როგორ უპასუხოთ ციფრულ გამოწვევებს თანამდეროვე ეპოქაში.

„რეფორმების ასეთი მასშტაბურობის შესახებ მხოლოდ რამდენიმე ქვეყანაში მომისმენია. პრეზენტაციიდან ჩანდა, რომ სამინისტრო უკვე მუშაობს იმაზე, თუ როგორ დანერგოს ციფრული ტექნოლოგიები სასწავლო პროცესში, გააზრებული აქვს, თუ რა გავლენა ექნება მას სწავლების ხარისხზე. ჩვენ ციფრულ სამყაროში ვცხოვრობთ. განათლების სისტემაში ამ გამოწვევებს სათანადოდ უნდა უპასუხოთ. ეს იქნება სამომავლოდ წინ გადადგმული ნაბიჯი და ყველა სტუდენტის, პედაგოგის ნარმატივის წინაპირობა.“

ჩვენ გვაქვს მაიკროსოფტი და არაერთხელ დავამტკიცეთ, თუ რა მნიშვნელობა აქვს მას სწავლების პროცესში. გვყავს ათასობით მომხმარებელი და მათი რიცხვი ყოველდღიურად

იზრდება. უკვე განხორციელდა ქართული ენის ინტეგრაცია ხელნაწერ ინტელექტში. თანამდეროვე ტექნოლოგიების მიმართულებით საქართველოსთან თანამშრომლობა ძალიან ნაყოფიერი იქნება, ვინაიდან ჩვენ გვაქვს უზარმაზარი გამოცდილება“ – განაცხადა სიტყვით გამოსვლისას კალინ დიმიტრევმა.

გახსნის ცერემონიაზე მიხეილ ბატიაშვილმა და რუსთაველის სამეცნიერო ფონდის დირექტორმა, ზვიად გაბისონიამ „ახალგაზრდა მეცნიერთათვის სტიპენდიის მოსაპოვებელი“ კონკურსის 7 სხვადასხვა ნომინაციაში გამარჯვებული საუკეთესო ახალგაზრდა მეცნიერი დააჯილდოვეს.

ახალგაზრდა მეცნიერთათვის სტიპენდიის მოსაპოვებელი კონკურსის გამარჯვებულები არიან:

➔ ნიკო კეცხოველის სახელობის სტიპენდია საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მიმართულებით გადაეცა გიორგი ჭკაბუაძეს – მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის მათემატიკური ფიზიკის განყოფილების კონსულტანტი;

➔ ალექსანდრე ქართველიშვილის სახელობის სტიპენდია ინჟინერია და ტექნოლოგიების მიმართულებით გადაეცა ბესიკ დუნდუას – კომპიუტერულ მეცნიერებათა დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ილია ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის კომპიუტერული ტექნოლოგიებისა და საინჟინრო საქმის ფაკულტეტის პროფესორი, კომპიუტერული მეცნიერებების სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების ხელმძღვანელი;

➔ ივანე ბერიტაშვილის სახელობის სტიპენდია სამედიცინო და ჯანმრთელობის მეცნიერებების მიმართულებით გადაეცა თამარ ცერცვაძეს – ბიოლოგიის დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის უსუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის იმუნოლოგია-მიკრობიოლოგიის კათედრის პედაგოგი;

➔ დავით სარაჯიშვილის სახელობის სტიპენდია აგრარული მეცნიერებების მიმართულებით გადაეცა ირაკლი ჯანაშიას – ბიოლოგიის დოქტორი, საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ენტომოლოგიის ინსტიტუტში მეფუტკრეობის ლაბორატორიის ხელმძღვანელი;

➔ დიმიტრი უზნაძის სახელობის სტიპენდია სოციალური მეცნიერებების მიმართულებით გადაეცა ვლადიმერ გამსახურდიას – ფსიქოლოგიური ანთროპოლოგიის დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის



ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ფსიქოლოგიის დეპარტამენტის ასისტენტ-პროფესორი;

➔ ივანე ჯავახიშვილის სახელობის სტიპენდია ჰუმანიტარული მეცნიერებების მიმართულებით გადაეცა ლუკა ნახუცრიშვილს – ზოგადი და შედარებითი ლიტერატურის დოქტორი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი ფილოსოფიის მიმართულებით;

➔ ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის სტიპენდია საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებების მიმართულებით გადაეცა ნიკოლოზ ალექსიძეს – ფილოსოფიის დოქტორი, თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი და მართვისა და საზოგადოებრივ მეცნიერებათა სკოლის დეკანი.

ლონისძიებას საქართველოს პრემიერ-მინისტრი, მთავრობის წევრები, დიპლომატიური კორპუსისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები, ადგილობრივი და უცხოელი ექსპერტები და სხვა დაინტერესებული პირები ესწრებოდნენ.

„მეცნიერებისა და ინოვაციების ფესტივალის 2019“ 30 სექტემბრის ჩათვლით გაგრძელდება. ფესტივალის ფარგლებში, მთელი საქართველოს მასშტაბით, სხვადასხვა სამეცნიერო და შემეცნებითი აქტივობა, 300-ზე მეტი ღონისძიება ჩატარდება.

მომზადდა ლალი თვალაბაძემ

წერილი მინისტრს

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრს, ბატონ მისხვილ ბატიანიშვილს

ბატონო მისხვილ,

ცნობილი ფაქტია, რომ დღეს ჩვენს სკოლებში მათემატიკური განათლების მიღება დიდ პრობლემას წარმოადგენს, უზინარესად, არასწორად შედგენილი სტანდარტის, პროგრამისა და განსაკუთრებით, სახელმძღვანელოების გამო. ისინი ელემენტარულ დონეზე ვერ პასუხობენ სასკოლო განათლების მოთხოვნებს და უფრო მეტიც, ხელისშემშლელია მოსწავლის განვითარებისათვის. სამწუხაროდ, გრიფორების პროცესის შედეგად, წლების მანძილზე არსებულ სახელმძღვანელოებს ისევ მიენიჭა გრიფი და სკოლებში კვლავ სავალდებულო სასწავლო რესურსად იქცა. ბატონო მინისტრო, მაფიქრებს ინერტულობა და უმოქმედობა იმ ადამიანებისა (მეცნიერები, პედაგოგები, საზოგადო მოღვაწეები, მშობლები, მოსწავლეები...), რომლებიც სინამდვილეში ხმას უნდა იღებდნენ. ხანგრძლივი ფიქრის შემდეგ გადავწყვიტე, ღია წერილით მომემართა თქვენთვის და მეჩვენებინა ჩემი, როგორც პროფესიონალის, ხედავა გამოსავლის პოვნის მიზნით (წარჩინებით მაქვს დამთავრებული ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის მათემატიკის მასწავლებლის სპეციალობით, ვარ განათლების აკადემიური დოქტორი, ოთხ ათეულზე მეტი დამხმარე სახელმძღვანელოს ავტორი მათემატიკაში, დანერგული პირველი კლასიდან).

მე თავად გახლდით ჩართული სახელმძღვანელოთა გრიფორების პროცესში, კერძოდ, ჩემი ავტორობით წარდგენილი მქონდა მე-7 კლასის მათემატიკის სახელმძღვანელო და საკუთარ თავზე ვინწინე არსებული სტანდარტის გადახედვის მცდელობისა და უკეთესი სახელმძღვანელოს შექმნის შედეგი. სახელმძღვანელოს ხომ ის უპირატესობა უნდა ჰქონდეს, რომ მისი გაგება საშუალო დონის მოსწავლემ, ძირითადად, დამოუკიდებელი სწავლით შეძლოს?! სამწუხაროდ, ან უკვე გრიფორებულმა სახელმძღვანელოებმა ეს ვერ აჩვენა. აქ ისმის მნიშვნელოვანი კითხვა: რამდენად სწორია, აღნიშნული სახელმძღვანელოები შევინარჩუნოთ კიდევ ხუთი-ექვსი წლის განმავლობაში და დავაკომპლექსოთ მოსწავლეები? – ვფიქრობ, ეს არის დანაშაულზე თვალის დახუჭვა და მისი ხუთი-ექვსი წლით დაკანონება.

გრიფორების პროცესი აღმოჩნდა ყალბი და უფრო მეტიც, კრიმინალური სახის, რაც ჩანს მე-5-მე-6 კლასების სახელმძღვანელოებში მოცემული რამდენიმე საკითხის მაგალითზეც:

1. მე-6 კლასის ერთ-ერთ გრიფინიჭებულ სახელმძღვანელოში შეტანილია პარალელოგრამის ფართობი, ტრაპეციის ფართობი, მრავალკუთხედის ფართობი, წრის ფართობი, ამოცანები პროცენტის პროცენტზე, ისეთი განტოლებები, რომელთა ამოხსნა უარყოფითი რიცხვის ცნებას მოითხოვს. ეს საკითხები არ არის გათვალისწინებული სტანდარტით და ცალკეა განსახილველი, საკითხავია, რამდენად გასაგები იქნება მე-5-მე-6 კლასელთათვის.

2. აღარ გავარძელებ აღნიშნული კლასების სახელმძღვანელოების მიმოხილვას, რადგან არაერთი საკითხია აქ მეთოდურად აბაღაბდად გადმოცემული (მეთოდურ სისუსტეში არსებული ავტორები ერთმანეთს ჯაბნანან). მხოლოდ ერთ ნაწყვეტს მოვიყვან მე-6 კლასის ერთ-ერთ გრიფინიჭებულ სახელმძღვანელოდან: „მ რიცხვი იმ და მხოლოდ იმ შემთხვევაში გაიყოფა უნაშთოდ n რიცხვზე, თუ m რიცხვის მარტივ მამრავლებად დაშლის ყველა თანამამრავლი მონაწილეობს.“ ნულია შანსი, რომ ეს რომელიმე მე-6 კლასელმა გააგოს.

აქვე აღვნიშნავ, რომ მე-5 კლასის ბუნების ნიგნში შეტანილია სიმკვრივე. დამერწმუნეთ, ეს საკითხი არის ურთულესი და აბსოლუტურად გაუგებარია მე-5 კლასელისათვის, რადგან მან არ იცის, რა არის შეფარდება, სიმკვრივე კი სხვადასხვაგვაროვან სიდიდეთა შეფარდებაა. შესაბამისად, ამ საკითხის შეტანა მე-5 კლასის სახელმძღვანელოში დანაშაულია.

მე-5-მე-6 კლასების სახელმძღვანელო მოსწავლე უნდა მიაჩვიოს ნიგნთან დამოუკიდებლად მუშაობას და ეს შესაძლებელია, თუ მასში საკითხები სრულად იქნება ახსნილი და გადმოცემული და არა მოკლედ, თუ ზისების სახით (არადა, არსებულ სახელმძღვანელოებში არაერთი საკითხია ამგვარად წარმოდგენილი). ეს სპეციალისტებთან ცალკე სასაუბრო თემაა.

რაც შეეხება მე-7 კლასის სახელმძღვანელოს მათემატიკაში, პირდაპირ შემიძლია ვთქვა, რომ ფაქტობრივად გრიფორება არ ჩატარებულა. მაშ, როგორ გავიგოთ, რომ უვარგის ნიგნებს

კვლავ მისცეს გრიფი? თუ რატომ არის უვარგისი, ამის დასტურად რამდენიმე მაგალითს მოვიყვან (თუმცა ასეთი მაგალითები მრავლადაა) ერთ-ერთი გრიფინიჭებული მე-7 კლასის მათემატიკის სახელმძღვანელოდან:

1. ერთ-ერთ პარაგრაფში, ერთ გვერდზე, მოცემულია ისეთი მნიშვნელოვანი საკითხი, როგორცაა – ერთნევი, მრავალწევრი, მოქმედებები ერთნევესა და მრავალწევრზე. ამასთან, ამ საკითხების შესწავლაზე გამოყოფილია სულ რაღაც 4 საათი. ნებისმიერი პროფესიონალი დამეთანხმება, რომ ეს არის აბსურდი. არსებულ ძველ და ახალ უცხოურ სახელმძღვანელოებში ამ საკითხების შესწავლისთვის გამოყოფილია, მინიმუმ, 20 საათი და მას დათმობილი აქვს 10-15 პარაგრაფი;

2. ერთ-ერთ პარაგრაფში, ერთ გვერდზე, მოცემულია ისეთი მნიშვნელოვანი საკითხი, როგორცაა მრავალწევრის მამრავლებად დაშლა. ამასთან, ამ საკითხის შესასწავლად გამოყოფილია სულ რაღაც 4 საათი. კომენტარს აღარ გავაკეთებ, მხოლოდ აღვნიშნავ, რომ ჩვენ მიერ მოყვანილი ორივე მაგალითით წარმოდგენილია ალგებრის საწყისი მნიშვნელოვანი ფუნდამენტური საკითხები და მათ შევხებულ სწავლაზე არის დამოკიდებული ალგებრის დანარჩენი საკითხების შესწავლა;

3. ერთ პარაგრაფში, ერთ გვერდზე, ყოველგვარი დამტკიცების გარეშე მოცემულია სამკუთხედების ტოლობის ნიშნები. მეთოდურად სუსტად და მოსწავლისათვის გაურკვეველად წერია საკითხი წრფეთა პარალელობაზე, არეულია ერთმანეთში თვისებები და ნიშნები, სხვათა შორის, ეს უკანასკნელი (ანუ წრფეთა პარალელურობის ნიშნები) არც არის ნახსენები გამოკვეთილად, არადა, მათემატიკის სტანდარტი მოითხოვს. აქვე მივუთითებ მნიშვნელოვან მეთოდურ რეკომენდაციას: სამკუთხედების ტოლობა არის გეომეტრიის ძირითადი აპარატი. უმრავლესი გეომეტრიული თეორემების დამტკიცება დაფუძნებულია შემდეგ ქვემაზე: უნდა მოიძებნოს ტოლი სამკუთხედები ან უნდა დამტკიცდეს ამოცანის პირობით მიღებულ ნახაზზე ტოლი სამკუთხედების არსებობა. შემდეგ უნდა ვეძებოთ ის შედეგები, რაც სამკუთხედების ტოლობიდან გამომდინარეობს.

ცხადია, სამკუთხედების ტოლობა დაფუძნებულია კუთხეთა ტოლობაზე და გვერდების ტოლობაზე...

მე-7 კლასის ერთ-ერთ გრიფინიჭებულ სახელმძღვანელოში საერთოდ არ არის შეტანილი ისეთი საკითხები, როგორებიცაა: პროპორცია, პირდაპირპროპორციული და უკუპროპორციული დამოკიდებულებები, პროპორციის ნაწილებად დაყოფა და ა.შ. საინტერესოა ავტორის მოსაზრება ამასთან დაკავშირებით, როცა მიუთითებს, რომ ეს საკითხები შეიტანა მე-6 კლასში. ამავე მე-7 კლასის ნიგნში მშრალად არის მოცემული გეომეტრიის საკითხები და მწირედ – პრაქტიკული. არადა, გეომეტრიის საგნის სწავლება უფრო მეტად დატვირთულ თეორიულ და პრაქტიკულ სამუშაო რესურსს მოითხოვს.

როგორ გავიგოთ ყოველივე ზემოთ თქმული და არაერთი მეთოდური უფიცობა აღნიშნულ სახელმძღვანელოებში? გამოდის, რომ სახელმძღვანელოს გრიფორების დროს მას ექსპერტები ან არ კომპეტენტები, ან მათ არ იცინა სტანდარტი, ან მიკერძოებას აქვს ადგილი. სამივე შემთხვევაში კრიმინალთან გვაქვს საქმე და თუ ასე გავრძელებ გრიფორების პროცესი, მე-8 კლასშიც ანალოგიურ სიტუაციას მივიღებთ. ფაქტობრივად, სახელმძღვანელოთა გრიფორების არსებული სახით განხორციელება დამლუპველი იქნება მოსწავლე ახალგაზრდობისათვის, ამიტომ საჭიროა მეცნიერთა ჩართვა. ამ მხრივ საინტერესო მოსაზრება აქვს ჩემს მეცნიერ-კონსულტატს, ფიზიკა-მათემატიკურ მეცნიერებათა დოქტორს, ბატონ ომარ ძაგნიძეს: „ამ საქმეში საჭიროა ჩართულ იქნეს: თსუ ა. რაზმაძის მათემატიკის ინსტიტუტი, თსუ ი. ვეკუას გამოყენებით მათემატიკის ინსტიტუტი, სტუ ნ. მუსხელიშვილის სახელობის გამოყენებით მათემატიკის ინსტიტუტი, საქართველოს მათემატიკოსთა კავშირი და საქართველოს განათლების აკადემია.“

ბუნებრივია, ისმება კითხვა: რა აზრი აქვს გრიფორების ჩატარებას, ზედმეტი ხარჯის განკვეთა და ჩემი თუ სხვა ავტორთა მონაწილეობას ამ გრიფორებაში? უფრო მეტიც, ვფიქრობ, რომ ყოველგვარი გრიფორების გარეშე ჩვენ უკეთეს სახელმძღვანელოს მივიღებთ ქიმიკს, ფიზიკაშიც და მათემატიკაშიც, რადგან არაერთი პოტენციური ავტორი ჩართვება სახელმძღვანელოს შექმნის პროცესში. დღესდღეობით ისინი გრიფორების პროცესში არ ერთვებიან, რადგან იციან, რომ ის არის ყალბი. საერთოდ, მიმაჩნია, რომ IV-VI კლასების მათემატიკის სტან-

დარტი და პროგრამები გადახედვასა და დახვეწას მოითხოვს (გასარკვევია, რომელი საკითხი უნდა ჩაისვას და რომელი – ამოღებულ იქნეს. შესაბამისად, აუცილებელია შემუშავდეს სტანდარტი, რომელშიც გათვალისწინებულ იქნება არითმეტიკული მეთოდების დაბრუნება და მაქსიმალურად შეიზღუდება ალგებრის საკითხები), VII-IX კლასების სტანდარტი კი ძირითადად მისაღებია, თუმცა აქაც არის გასარკვევი ზოგიერთი რამ. ეს საკითხები აშკარად სპეციალისტებთან სასაუბრო თემაა და, ბუნებრივია, მე მაქვს ჩემი შეხედულება.

ასევე გადასახედია მათემატიკის პროგრამა X-XII კლასებში, რომლის შესახებ საინტერესო ლექცია ჩავატარე პედაგოგიურ მეცნიერებათა აკადემიის სხდომაზე, რომელიც მოიცავდა როგორც პროგრამის, ასევე ამ კლასების სტრუქტურულ ცვლილებებს, თუმცა მათ არ მოიტანეს ეს ინფორმაცია თქვენამდე. თუ ისურვებთ, შემიძლია მასალები მოგანოვდეთ. შევნიშნავ, რომ არ შეიძლება მათემატიკა ერთნაირი პროგრამით ისწავლებოდეს X-XII კლასებში ყველა მოსწავლისათვის. მოსწავლეთა მეტი ბუნიტი თუ შეიძლება არსებობდეს, როდესაც, მაგალითად, მე-11 კლასის მოსწავლე უნდა იყოს გაკვეთილზე და ისმენდეს მისთვის სრულიად გაურკვეველ მათემატიკის თუ ფიზიკის საკითხებს?! ამავე დროს, ხშირად მათემატიკისა და ფიზიკის პროგრამები შეუთავსებელია, კერძოდ, ფიზიკა იყენებს ისეთ საკითხს მათემატიკიდან, რომელიც მოცემულ მომენტში მოსწავლეს არ აქვს გავლილი. ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს ფიზიკისა და მათემატიკის პროგრამების გადახედვის აუცილებლობას.

არსებულმა უვარგისმა სახელმძღვანელოებმა (დანაშაული პირველი კლასიდან) პრობლემა შეუქმნა მასწავლებლებსაც. დანაშაული კლასებში სწავლების პრობლემა უშუალოდ აისახა დავალებებში. აღნიშნული პრობლემა წარმოიქმნა სწორედ სახელმძღვანელოში არარსებული მეთოდებისა და არასწორი სტრუქტურის შედეგად. არის შემთხვევები, როდესაც მე-2 თუ მე-3 კლასის მოსწავლეს დავალებად აქვს მიცემული 40-50 სავარჯიშო, განტოლების ამოხსნა და ა.შ., რისი შესრულებაც მოსწავლის მიერ პრაქტიკულად შეუძლებელია.

საკუთრივ შემოქმედ მასწავლებლებს, რომელთა რიცხვი ძალიან მცირეა (მაქსიმუმ 1%), საერთოდ არ სჭირდება არც სახელმძღვანელო და არც მეთოდური ლიტერატურა, ხოლო შემსრულებელ მასწავლებლებს, ძლიერსა თუ საშუალოს, იმისათვის, რომ შეძლოს ნარმატიული გაკვეთილის ჩატარება, სჭირდება კარგი სახელმძღვანელო კარგი მეთოდური ლიტერატურით, წინააღმდეგ შემთხვევაში ის ვერ შეძლებს ნორმალური გაკვეთილის ჩატარებას.

მე მზად ვარ, დაუყოვნებლივ წარმოვადგინო ალტერნატიული სახელმძღვანელოები V-VI-VII კლასებში ფართო აუდიტორიის წინაშე განსახილველად (მეცნიერები, პედაგოგები) და ვიმსჯელოთ მათ ავკარგაინაობაზე, ხოლო შემდეგ გავაგრძელო მუშაობა მომდევნო კლასებზე, ასევე ჩემი ინტელექტუალური რესურსი მოვასმარო და კვალიფიკურ სპეციალისტებთან (და არა ავანტიურისტებთან) ერთად შევქმნა X-XII კლასების პროგრამის დიფერენციალური სწავლების კურსის პროგრამაც მათემატიკაში, რომლის ზოგადი მონახაზი წარვადგინე პედაგოგიურ მეცნიერებათა აკადემიის სხდომაზე.

ბატონო მისხვილ, თუ თქვენ გადადგამთ გაბედულ ნაბიჯს და ჩემს მე-7 კლასის მათემატიკის სახელმძღვანელოს მიანიჭებთ ამ ეტაპზე დამხმარე ნიგნის სტატუსს, მით უფრო რომ ის მოწონებულია არაერთი მეცნიერისა და პედაგოგის მიერ, დარწმუნდებით მის ვარგისიანობაში, რაც გამოიხატება მოსწავლეთა მათემატიკური დონის მკვეთრად ამაღლებაში, ბევრად დიდ უპირატესობაში გრიფინიჭებულ სახელმძღვანელოებთან შედარებით. ყოველგვარი გადახედვების გარეშე აღვნიშნავ, რომ ჩემი სახელმძღვანელოების იმედი აქვს არაერთ პედაგოგს.

ბატონო მისხვილ, მზად ვარ, სასურველ დროს ნებისმიერი სატელევიზიო არხის პირდაპირ ეთერში, თქვენთან და სხვა ავტორებთან ერთად, განვიხილო მათემატიკის სასკოლო სახელმძღვანელოებსა და პროგრამებთან დაკავშირებული ეს საჭირობო-საკითხები, რადგან მდგომარეობა უკიდურესად მძიმეა და თუ ასე გავრძელებ, კიდევ უფრო მძიმე სურათს მივიღებთ. პატივისცემით,

დიმიტრი გოშხათიანი
განათლების აკადემიური დოქტორი

ინფორმაცია

კელაგობის ტრიუმფი

სექტემბრის დასაწყისში, ერთი კვირის განმავლობაში, მოსწავლე ახალგაზრდობის საკონცერტო დარბაზში (სასახლის დირექტორი – თიკა რუხაძე), TBILISI PIANO FEST მიმდინარეობდა (პროექტის ავტორი – დედანა მაზმანიშვილი). საღამოობით მსოფლიოს წამყვანი მუსიკოსები (დედანა მაზმანიშვილი, ჯეფრი სუონი, ნინა ადლონი, მასიმილიანო ფერატი, ედმონდ სავიცი, მარტინა ფილიაკო, გაბრიელე ლეპორატი, გეზა ლუიკერი) კონცერტებს მართავდნენ. დღისით კი, იგივე მუსიკოსები, უკვე პროფესორის რანგში, ქართველი მოსწავლეებისათვის, ყოველდღე, უფასო მასტერ-კლასებს ატარებდნენ. კვირის ბოლოს, სასახლის სარკეებიან დარბაზში, მასტერ-კლასებში მონაწილე მოსწავლეების გალა კონცერტი გაიმართა. თიკა რუხაძემ და დედანა მაზმანიშვილმა მოსწავლეებს სამახსოვრო საჩუქრები გადასცეს. მთავარი პრიზი მოიპოვა საქართველოს დამსახურებული პედაგოგის ნატა ნაცვლიშვილის მოსწავლემ, ევგენი მიქელაძის სახელობის მუსიკალური კოლეჯის მეთერთმეტეკლასელმა, ბარბარე თათარაძემ. ის სასახლის ახალგაზრდულ ორკესტრთან (დირიჟორი – მირიან ხუხუნიანი) ერთად გამართავს კონცერტს, ხოლო ქალბატონი ნატა მერვე

მოსწავლემ, ამავე კოლეჯის მეთექვსიკლასელმა, ნინუცა ტყემლაშვილმა სპეციალისტების დიდი მონაწილეობით დაამსახურა და სპეციალური პრიზით დაჯილდოვდა. მომავალში მასაც ექნება ორკესტრთან ერთად კონცერტის გამართვის საშუალება.

ბეზმტენის ფირმის პრეზიდენტმა მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლეს უძვირფასესი როიალი გადასცა საჩუქრად.

რეზა თოფურიანი



ახალი ახვაზი

უკეთესი შესაძლებლობა ხარისხიანი სწავლებლისთვის

ანა ფირცხალაიშვილი

ტრადიციულად, ათასობით მოსწავლე და მასწავლებელი გააგრძელებს სწავლას და პედაგოგიურ საქმიანობას ან ახალაშენებულ ან კიდევ გარემონტებულ და კეთილმოწყობილ გარემოში. მათ შორის მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ლისის საჯარო სკოლა, რომელიც მისივე კურსდამთავრებულის, აფხაზეთის ომის გამირის, შმაგი გოგშელიძის სახელობისაა.

ღირსების ორდენის კავალერი, ბატონი დემურ ძნელაძე 1991 წლიდან ხელმძღვანელობს ამ სკოლას და ამბობს, რომ შენობა მაშინაც საჭიროებდა შეკეთებას. 1923 წელს აშენებულ დაწყებით სასწავლებელს, 1965 წელს ერთი ფლიგელიც მიაშენეს, რამაც სამი სოფლის (ლისი, წოდორეთი, თხინვალი) ახალგაზრდებს საშუალება მისცა, აქვე მიეღოთ საბაზო განათლება. მას შემდეგ 50 წელზე მეტი გავიდა და სკოლას სერიოზული სარეაბილიტაციო სამუშაოები არ ჩატარებია. მხოლოდ 2009 წელს შეიცვალა სახურავი და შარშან გამოიცვალა ფანჯრები. „წლების განმავლობაში ვცდილობდი, სრული რეაბილიტაცია ჩატარებოდა სკოლას, წინააღმდეგეთ, თითქოს, არავინ იყო, მაგრამ ყოველ წელს რაღაც მაინც გვიშლიდა ხოლმე ხელს. მიხარია, რომ მოხერხდა და ახალ სასწავლო წელს სრულიად ახალ გარემოში დავიწყებთ. ახლა ნამდვილად მშვიდად გავალ პენსიაზე, რადგან კეთილმოწყობილ სკოლას და არაჩვეულებრივ პედაგოგიურ კოლექტივს ვტოვებ. 28 წელი ცოტა არ არის...“ – გვითხრა ბატონმა დემურმა.

სკოლა მართლაც სუფთად და თანამედროვედ გამოიყურება – შეღებილი ფასადი და საკლასო ოთახები, ახალდაგებული იატაკი, ქიმია-ბიოლოგიისა და ფიზიკის კაბინეტები, რო-

მელთა შეესება-განახლებას გეგმავს დირექტორი და კეთილმოწყობილი ეზო, სადაც უკვე სპორტული მოედნის გაკეთებაც შეიძლება, ერთ-ერთ საკლასო ოთახში კლასების მიხედვით დალაგებული სახელმძღვანელოები და ბუკებია 4 პირველკლასელისთვის...

მიმდინარე სასწავლო წელს 63 მოსწავლე და 20 პედაგოგი, მათ შორის 14 სერტიფიცირებული, გააგრძელებს სწავლას და შრომას ლისის სკოლაში, 6-მა პენსიონერმა ისარგებლა სახელმწიფოს შეთავაზებით და გზა შედარებით ახალგაზრდებს დაუთმო. სკოლა მცირეკონტინგენტისაა, მიუხედავად იმისა, რომ სხვა სოფლებსაც ემსახურება, მათ შორის წოდორეთს, სადაც ძირითადი მოსახლეობა აზერბაიჯანელები არიან. ისინი სწავლას ლისის საჯარო სკოლაში იწყებენ და სახელმწიფო ენასაც აქ ეუფლებიან, ქართველ თანატოლებთან ურთიერთობას, სასკოლო აქტივობებში ერთობლივ მონაწილეობასაც აქ ეყრება საფუძველი, რაც სამომავლოდ მეგობრობაშიც გადაიზრდება ხოლმე. ამ პროცესს სწორად, პროფესიული თვალსაზრისითაც ხარისხიანად უძღვება სკოლის პედაგოგიკტივი. ახალგაზრდები ქართულ ენას იმდენად კარგად ეუფლებიან, რომ ამ მხრივ პრობლემა არსად ექმნებათ, ზოგი უმაღლეს სასწავლებელშიც აბარებს, მაგალითად, ერთ-ერთი მათგანი სამედიცინო უნივერსიტეტშიც კი მოეწყო ყოველგვარი რეპეტიტორობის გარეშე. წელს, 8 კურსდამთავრებულიდან, 3 სტუდენტი გახდა. ეს არ არის ცუდი მაჩვენებელი, მით უმეტეს იმ ფონზე, რაც დღემდე ლისის სკოლაში იყო.

რაც შეეხება პრობლემებს, ისინი მხოლოდ შემცირდა... დირექტორი სწუხს კომპიუტერული და სამედიცინო კაბინეტების, სასადილო ოთახის, სპორტული დარბაზის არქონის გა-



მო. სულ ოთხი კომპიუტერი აქვს სკოლას და ისიც დირექტორის კაბინეტშია განთავსებული, რადგან შენობა ცალკე ფართის გამოყოფის საშუალებას არ იძლევა. „მცირეკონტინგენტის არ შეიძლება რაიმე „შელავათის“ მიზეზი გახდეს – ერთი ბავშვიც რომ იყოს კლასში, ზუსტად ისეთივე სრულფასოვნებით და ხარისხიანად უნდა მოემსახურო, როგორც მრავალრიცხოვან კლასს. იმედი მაქვს, ჩემს მოსწავლეებსაც ექნებათ ყველა ის პირობა, რასაც თანამედროვე სკოლა და სწავლება ითვალისწინებს“.

ასეთია ბატონი დემურის ხედვა და სურვილი, თუმცა ეს მომავლისა და ახალი დირექტორის საზრუნავი უფროა.



სწავლავის მეთოდი

როგორ დავხმაროთ მოსწავლევს ახალი ტექსტის გაგება-გააზრებაში

დ. პერკინსის ეფექტური სწავლების პრინციპების ცოდნა და სწავლა-სწავლების პროცესში მათი გათვალისწინება გვეხმარება მოსწავლეებში განვითაროთ მაღალი სააზროვნო უნარები. პერკინსის აზრით, მოსწავლეები მაშინ იძენენ ცოდნას, როცა სწავლის პროცესში ხდება მისი გააზრება. მაშასადამე, „აზროვნება კი არ მოსდევს ცოდნას, არამედ ცოდნა მოსდევს აზროვნებას“.

ახალი ტექსტის გაგება-გააზრებისათვის შეიძლება მოსწავლეები ნააწყენდნენ სხვადასხვა პრობლემას. მათ შეიძლება ვერ გააანალიზონ და სიღრმისეულად ვერ გაიაზრონ მწერლის მთავარი სათქმელი. ამ პრობლემის დასაძლევად გამოვიყენებთ სხვადასხვა მეთოდებს. ვფიქრობთ, ეს სტრატეგიები დაეხმარება მასწავლებელს, რომ მოსწავლეებს გაუადვილდეთ ტექსტის გაგება. განვიხილოთ რამდენიმე მეთოდი მიხეილ ჯავახიშვილის „ჯაყოს ხიზნებისა“ და კონსტანტინე გამსახურდიას ნოველა „ქარაგმას“ მაგალითებზე.

„ჯაყოს ხიზნების“ ერთ-ერთი პერსონაჟის, ჯაყოს ხატვის თავისებურება დაკავშირებულია გარკვეულ პრობლემებთან. წარმოშობით ოს ჯაყოს ავტორი გვიხსიათებს როგორც გარეგნობით, ისე თვისებებით: „ვიწრო ტროტუარი ვერ იტევდა განიერ ჯაყოს...“ „გაბანჯგულული მაიმუნი“ (გაპარსული მაიმუნი, რომელიც ხეივანებზეა, ჭიხინებზეა, კბილებს ყრია), რითაც ჯავახიშვილი ხაზს უსვამს მის ცხოველურ თვისებებს. ავტორი ჯაყოს მეტყველებაზეც ამახვილებს ყურადღებას: „ავგრე იცის ჯაყომ“. ჯაყო მდროვეა, სადაც ძალა ვერ უჭრიდა, ტირილს იწყებდა. ყველა შეილი არ მონათლა იმის გამო, „რა იცი როგორ დამჭირდესო“. იგი თავის თავს უპატრონოს უწოდებდა, მაგრამ როცა დასჭირდებოდა, იმუქრებოდა, ბიძებს ჩამოვიყვანო.

ჯაყო ის პერსონაჟია, რომელმაც, ცხადად, თუ მალევე, ყველაფერი წაართვა განათლებულ თეიმურაზს: სახლი, ქონება, ჩოხა-ახალუხი, ტყე, ბაღ-ვენახი და, ყველაფერთან ერთად, ცოლიც. ჯაყოს ამგვარი დახასიათებით კარგად ჩანს ავტორის დამოკიდებულება პერსონაჟის მიმართ, რომელსაც მიეყვართ ტექსტის მთავარ სათქმელამდე.

აქ, შეიძლება პრობლემა წამოიჭრას. მოსწავლეებს არ ესმით, როგორ ჩაიგდო გაუნათლებელმა ჯაყომ განათლებული თეიმურაზის ქონება და ცოლი ხელში? რატომ გვიხატავს ავტორი ჯაყოს ყოველმხრივ უარყოფით, უღირს პერსონაჟად? რისი სახეა ტექსტში ჯაყო? მსგავსი კითხვების გაჩენის მიზეზი ტექსტის ზედაპირული ცოდნაა. მ. ჯავახიშვილის კი არ აინტერესებს ერთი კონკრეტული ადამიანის წარმოჩენა, არამედ მასში გაერთიანდა ყველა დამპყრობელი და მოძალადე, რომლებიც შევიფარეთ, კულტურასა და განათლებას ვაზიარეთ, ბოლოს კი, ჩვენივე სახლების „ხიზნად“ გაგვხადეს თეიმურაზის მსგავსად.

ზემოთ დასახელებული პრობლემის გადასაჭრელად, თავდაპირველად, მოსწავლეებს ვაჩვენებ ნაწყვეტებს ფილმიდან ან სპეკტაკლიდან „ჯაყოს ხიზნები“. შემდეგ დავყოფ კლასს ჯგუფებად. მივცემ სხვადასხვა დავალებას: პირველმა ამოინეროს ჯაყოს გარეგნობის ამსახველი ფრაზები, მეორემ – მეტყველების, მესამემ – ხასიათის, მეოთხემ – მოხერხებულობის, მეხუთემ – ადამიანებთან ურთიერთობების. თითოეულ ჯგუფს ვთხოვ, წარმოადგინონ ნამუშევრები კლასის წინაშე. შევაჯამებთ ნააზრევს, მოსწავლეები მივლენ იმ დასკვნამდე, რომ ჯაყო ერთი კონკრეტული ადამიანი არ არის. მასში გაერთიანებულია საქართველოს მტრები. ეს მეთოდი მეხმარება პრობლემის გადაჭრაში, კერძოდ, ტექსტის უკეთ გაგებასა და გააზრებაში, პერსონაჟის შეცნობასა და მთავარი სათქმელის ამოცნობაში.

რაც შეეხება ნოველას „ქარაგმა“, მწერლის მთავარი სათქმელია, რომ მე-20 საუკუნეში, დიდი ქალაქების შექმნამ, ადამიანები გააუცხოვა. უცხოვდება ადამიანი მიწისგან, ღვთისგან. მწერალს ნოველაში შემოჰყავს უცნაური გმირი. გვიხატავს პერსონაჟის მიძიმე, სულიერ განწყობას: „მე მარტო ვარ ჩემ ფიქრებში“, „მე მარტო ვარ ჩემ ბნელ გზაზე“. მის სიტყვებში ყველაფერი არ არის ნათქვამი, მაგრამ ამკარად ჩანს, რომ მთავარი პერსონაჟი არის მარტოსული, გაუცხოებული პიროვნება.

მთავარი სათქმელი რომ უკეთესად გავიგოთ, მწერალი იყენებს მხატვრულ სახეებს: მეტაფორას, ეპითეტებს, შედარებას. მეტაფორას იყენებს იმისთვის, რომ დავგვიხატოს პერსო-

ნაჟის სულიერი მდგომარეობა: „სიკვდილი ტრიუმფით შესულა თვალების ჭიშკარში“, შედარებებს იყენებს იმისთვის, რომ დავგანახოს მარტოსული და გაუცხოებული ადამიანის სულისკვთება: „პირუტყვივით მინდა ვიყვირო და მთელს ქვეყანას შევატყობინო“. ეპითეტებში კარგად ჩანს პერსონაჟის სულიერი მდგომარეობა: „საშინელი სიზმარი“, „უპატრონო მკვდარი“, „მარტოსული და გაუცხოებული“.

ამ ტექსტის გაგებისა და გააზრებისას მოსწავლეები შეიძლება შემდეგ პრობლემას ნააწყენდნენ – ვერ გააანალიზონ მწერლის მთავარი სათქმელი, მარტოსული და გაუცხოებული ადამიანის მდგომარეობა: „მე მარტო ვარ ჩემ ფიქრებში, მე არავის ვეძებ, არავინ მეძებს“. პრობლემა ის არის, რომ მოსწავლეები ნაკლებად იცნობენ ისტორიულ კონტექსტს, არ იციან, რომ მე-20 საუკუნის ტექნიკურმა ცვილიზაციამ ადამიანები გარე სამყაროს მოწყვიტა, ქალაქი და სოფელი ერთმანეთს დაამორა და ადამიანები გააუცხოვა. სოფელი სამოთხეს შეადარა, ქალაქი კი, ჯოჯოხეთს.

მოსწავლეებს ტექსტი სიღრმისეულად რომ გავაზრებინო, ვიყენებ შემდეგ მეთოდებს. მოკლედ ვესაუბრები მე-20 საუკუნისთვის დამახასიათებელ კულტურულ-ისტორიულ კონტექსტზე. შემდეგ, კლასს ვყოფ ჯგუფებად და თითოეულ ჯგუფს ვავალებ, ტექსტი დაამუშაონ კონკრეტული დავალებების მიხედვით:

- ❖ ჯგუფმა იმუშაოს მთავარი გმირის დახასიათებაზე;
- ❖ ჯგუფმა დაახასიათოს საზოგადოება, ამოინეროს და გააანალიზოს შესაბამისი დეტალები;
- ❖ ჯგუფმა გააანალიზოს კულტურულ-ისტორიული კონტექსტი;
- ❖ ჯგუფმა ამოინეროს მხატვრული ხერხები და იმსჯელოს მათ ფუნქციაზე.

შემდეგ იქნება პრეზენტაცია. ყველა ჯგუფი წარმოადგენს შესრულებულ დავალებას, გაგმართავ დისკუსიას თემაზე: „ემსგავსება თუ არა რეალობა სიზმარს“.

ასეთი მიდგომა მეხმარება, რომ ყველა მოსწავლე ჩავართო სასწავლო პროცესში და ტექსტი ღრმად და საფუძვლიანად გავაანალიზებინო.

ნინო ჯალაღონია

თბილისის კერძო სკოლა „აისის“

ქართული ენისა და ლიტერატურის უფროსი მასწავლებელი

სწავლის მეთოდი

გამოქვეყნებული ანიმაცია

ანიმაციური ფილმები იაკოვ გოგუაშვილისა და ნიკო ქახოველის მოთხრობების მიხედვით

არ მეგულება ბავშვი, რომელსაც ანიმაცია და ანიმაციური ფილმები არ უყვარს. ისინი ამაზე ხშირად საუბრობენ, განიხილვენ, მსჯელობენ, ადარებენ. ჰყავთ გამორჩეული ანიმაციური გმირი. აღმერთებენ. დაკვირვებული თვალისთვის ყოველივე მარტივი შესამჩნევია, თუ მათ რვეულებს, ჩანთებს, წიგნის შემოსაკრავებს და სხვა სასწავლო ნივთებს დააკვირდებით. თითოეულს ხომ მათი საყვარელი ანიმაციის გმირი ამშვენებს. და არა მარტო სასწავლო ნივთებს, ისინი სადღესასწაულო ტორტებსა და ჩაცმულობასაც კი ამის მიხედვით არჩევენ.

საკმარისია მასწავლებელმა აგრძობინო ბავშვს, რომ შენც გაინტერესებს ანიმაციური სამყარო, მაშინვე ამ პატარა არსებების ნდობა გაქვს მოპოვებული, მაშინვე მათი თანამოზიარე ხდები და იწყება სამხიარულო ამბები თუ თავგადასავლები. უცებ აღვნიშნავ, რომ თავიანთ მესაიდუმლოდ და მეგობრად გთვლიან. კვირა არ გავა, რომელიმე ახალი ანიმაცია არ აღმოაჩინოს. სულს ვერ ითქვამენ ისე ყვებიან მასწავლებლისა და კლასის წინაშე საკუთარი მთაბეჭდილობების შესახებ და ერთად ყურების სურვილს გამოთქვამენ. ნახვის შემდეგ კი უამრავ კითხვას გისვამენ, აინტერესებთ ყველამ ის იგრძნო და განიცადა თუ არა, რაც თავად. და ასე საინტერესოდ გრძელდება სასკოლო ცხოვრების ურთიერთობები.

ერთ-ერთი ასეთი ანიმაციური ფილმის ყურების შემდეგ მოსწავლეებს შევთავაზე, თავად შექმნათ მსგავსი მასალა. ბავშვები მაშინვე სიხარულით დამთანხმდნენ. სიამოვნებით მიორგეს ანიმაციურების როლი. დაიწყეთ ტექსტების მოძიება და დამუშავება, შევისწავლეთ მოთხრობებში წარმოდგენილი გარემო, პერსონაჟები. შევქმენით დიორამები. ფოტოები გადავუღეთ, გავმართეთ მკითხველთა თეატრი, მცირე კომპიუტერული ჯადოსნობებიც ჩაერთეთ, გამოსახულება და ხმა ერთმანეთს მოვარგეთ და მცირე ზომის ანიმაციებიც დაიბეჭდა. იმდენად მოგვწონდა, რომ ფილმების საჯაროდ ჩვენებაც მოვანწყვეთ. დაინტერესება დიდი იყო. ბავშვები კი ამაყები და ბედნიერები - ისინი ხომ თავს ნამდვილ ანიმაციორებად თვლიდნენ.

გთავაზობთ ანიმაციებზე მუშაობის მიმდინარეობას:

პირველი ეტაპი - ტექსტებზე მუშაობა

პედაგოგი წინასწარ არჩევს მარტივ, შესაბამის ასაკობრივ კატეგორიაზე გათვლილ ტექსტს/ტექსტებს (ამ შემთხვევაში, ეს არის იაკოვ გოგუაშვილისა და ნიკო ქახოველის მოთხრობები). ტექსტებს კითხულობენ საგაკვეთილო პროცესში და ხდება მათი დამუშავება/გააზრება.

მეორე ეტაპი - ტექსტის დეკორაციებზე მუშაობა

საჭირო რესურსი: მუყაოს ყუთები, ფერადი ფურცლები, ნეო, პლასტილინი, საღებავები და ფუნჯი. ამის შემდეგ მოსწავლეთა ჯგუფები ირჩევენ მათთვის სასურველ მოთხრობას და მუშაობენ დეკორაციებისა და პერსონაჟების შექმნაზე, ვინ როგორ ხედავს და როგორ წარმოუდგენია. გარემოს შესაბამისად იქმნება დიორამა, მიმდინარეობს მოხატვა და პერსონაჟების ძერვნა.

მესამე ეტაპი - ტექსტზე მუშაობა როლებში, ინტონაციურად

მოსწავლეები კითხულობენ ტექსტს „მკითხველთა თეატრის“ მეთოდის გამოყენებით და ცდილობენ, გაითავისონ თითოეული როლი შესაბამისი ინტონაციით. აწყობენ მკითხველთა თეატრს.

მეოთხე ეტაპი - ფოტოების გადაღება, power point-ში აწყობა
დიორამებსა და პერსონაჟებს ვუღებთ ფოტოებს, სხვადასხვა რაკურსში, ტექსტის საჭიროებიდან გამომდინარე და კომპიუტერულად ვამუშავებთ პროგრამა power point-ში.

მეხუთე ეტაპი - გაზიარება
მოსწავლეები, ეკრანის ჩანაწერის დახმარებით, ცდილობენ სკუთარი ხმა სლაიდის სახით აწყობილ ტექსტის ეპიზოდებსა და პერსონაჟებს მოარგონ.

მეექვსე ეტაპი - მონტაჟი
საბოლოოდ, მასწავლებელი შექმნილ მასალას კომპიუტერულ პროგრამა Moviemaker-ში ამუშავებს.

მეშვიდე ეტაპი - ტექსტის/ტექსტების გააზრების მონიტორინგი და შედარებითი ანალიზი
ანიმაციური ფილმების ჩვენების შემდეგ, ისევ ტექსტის გააზრებაზე ვმუშაობთ სხვადასხვა სტრატეგიებისა და შედარებითი ანალიზის გამოყენებით.

მერვე ეტაპი - პრეზენტაცია
მოსწავლეები შექმნიან აფიშას, მოსწავლეებს და საბოლოო სახით შექმნილ რესურსს წარუდგენენ დაინტერესებულ აუდიტორიას. მასალა გამოქვეყნდება სოციალურ ქსელში ან youtube-ზე.

რეზიუმე

საერთაშორისო კვლევებზე (PIRLS 2006, PIRLS 2011) დაყრდნობითა და პირადი გამოცდილებით, სკოლებში გარკვეულ სირთულეებს ვაწყდებით ტექსტებზე მუშაობისას, რაც განსაკუთრებით შესამჩნევია სწავლების დაწყებით საფეხურზე და თავს იჩენს სხვა საფეხურებზეც.

ამიტომ გადავწყვიტე აღნიშნული რესურსის (ანიმაციური ფილმების) შექმნა, რადგან ამ ასაკში, როგორც ზემოთ აღვნიშნე, ბავშვები ვიზუალურ მასალაზე უფრო ადვილად იმასხორციელებენ და აღიქვამენ.

რესურსი უზრუნველყოფს მოსწავლეთა ჩართულობას და თანამშრომლობის სურვილს. ის მოითხოვს ერთად ფიქრს, ერთად კეთებას და ამით რაღაცის აღმოჩენას, რადგან საერთო ძალისხმევის შედეგია.

რესურსი იძლევა უნარების კომპლექსური განვითარების საშუალებას - ზეპირმეტყველება, კითხვა, გააზრება, შემოქმედებითი აზროვნება, ხელის მოტორობა.

რესურსი მისდევს გარკვეულ სქემას და მოიცავს თანმიმდევრულ პროცესებს, რაც საკითხის აღქმასა და გააზრებას ადვილად ხდის.

მსგავსი ფილმების დახმარებით მოსწავლე სწავლობს და შეიმეცნებს ხალისით, მაღალდება მოტივაცია შესასწავლი საკითხის და, საერთოდ, სავსის მიმართ, სასწავლო მასალის აღქმაში ჩართულია სხვადასხვა უნარი და, შესაბამისად, დამახსოვრების ხარისხიც მაღალია, აკმაყოფილებს განსხვავებული სწავლის სტილისა და ინტელექტის მოსწავლეების მოთხოვნილებებს.

თავად რესურსი შეიძლება, პირდაპირი სახით, ერთჯერადი გამოყენების არის, მაგრამ იდეა ქართული ენის პედაგოგებმა სწავლების სამივე საფეხურზე შეიძლება გამოიყენონ.

მაგრამ რესურსს აქვს უარყოფითი მხარეებიც - ტექნიკურად რთული შესასრულებელია და სპეციალურ მომზადებას

მოითხოვს ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების დაუფლებაში (რადგან ფოტოები Power point-შია აწყობილი და ვიდეორგოლი შექმნილია Moviemaker-ში), ასევე დიდ დროს და მუდმივ განახლებას.

რესურსის მიზნები (1 კლასი)

ქართ. 1.1. მოსწავლეს შეუძლია მოისმინოს და ადეკვატურად აღიქვას მარტივი ინფორმაცია; შეუძლია სწორად რეაგირება ნაცნობ სამეტყველო სიტუაციებში.

- შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:
- ასრულებს მასწავლებლის მარტივ ზეპირ ინსტრუქციებს;
 - უცნობი სიტყვების მნიშვნელობის დასაზუსტებლად სვამს შეკითხვებს;
 - მონანილოვს სიტუაციურ თამაშებში, ჯგუფურ აქტივობებში და საჭიროების მიხედვით ადეკვატურად ცვლის სამეტყველო როლებს (უხმენს სხვებს, სვამს/პასუხობს შეკითხვებს);

ქართ. 1.2. მოსწავლეს შეუძლია გადმოსცეს მარტივი ინფორმაცია მისთვის ნაცნობ თემებზე.

- შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:
- მეტყველებისას იყენებს წინადადების მოდულობებს (თხრობას, შეკითხვას, თხოვნას, ბრძანებას) და შესაბამის ინტონაციას;

ქართ. 1.3. მოსწავლეს შეუძლია მართლმეტყველების ელემენტარული წესების დაცვა.

- შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:
- მკაფიოდ გამოთქვამს ბგერებს სიტყვაში;
 - პაუზით გამოყოფს სიტყვებს ერთმანეთისგან;
 - წინადადების დასრულებას გამოხატავს პაუზით და შესაბამისი ინტონაციით;

ქართ. 1.4. მოსწავლეს შეუძლია მოისმინოს და გაიგოს ნაცნობ თემატიკაზე შექმნილი მცირე ზომის ტექსტები და გამოხატოს თავისი დამოკიდებულება.

- შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:
- სვამს/პასუხობს შეკითხვებს მოსმენილ ტექსტთან დაკავშირებით;
 - მონანილოვს პერსონაჟის ჯგუფურ დახასიათებაში;
 - მონანილოვს ტექსტის სახელდახელო ინსცენირებაში, ირჩევს როლის შესატყვის ინტონაციას და უხსტ-მიმიკას;

ქართ. 1.7. მოსწავლეს შეუძლია წერილობითი კოდის გამოფერა.

- შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:
- ხმამაღლა (მოლიანი სიტყვებით ან დამარცვლით) კითხულობს მარტივი წინადადებებით შედგენილ მცირე ზომის ტექსტებს;
 - წინადადების საზღვრების შესაბამისად აკეთებს პაუზას;
 - აგრძელებს სხვის მიერ დაწყებულ კითხვას სათანადო ადგილიდან.

მოსწავლეთა მიერ შექმნილი რესურსი (ანიმაციები):

- ამაყი ყვავილი - <https://youtu.be/o4---OaQMMw>
- პეპელა და ფუტკარი - <https://youtu.be/vl1yG6KrRZ0>
- მარადმწვანე ხეები - <https://youtu.be/ICeqY7kgjYQ>
- ორი მეგობარი - https://youtu.be/xB15ySt_h60
- სირცხვილი აიცილა - https://youtu.be/r4NZb0_jw8Q

გიტა თვალაბიშვილი
თბილისის №168 საჯარო სკოლის დაწყებითი კლასების მასწავლებელი

ასალი აზრები

მარნეულში პირველი საჯარო სკოლის ახლად აშენებული შენობა საზეიმოდ გაიხსნა. გაუსნის ცერემონიას საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილე, **ლევან ხარატიშვილი** დაესწრო.

მინისტრის მოადგილემ მოსწავლეებს და პედაგოგებს ახალ სკოლაში სწავლის დაწყება მიულოცა და წარმატებები უსურვა. სკოლა სამინისტროს ფინანსური დახმარებით აშენდა, რისთვისაც ბიუჯეტიდან 1 900 000 ლარი გამოიყო.

ახლად აშენებული სკოლა სრულად შეესაბამება თანამედროვე სტანდარტებს და 200 მოსწავლეს გათვლილი. ამჟამად სკოლაში 130 მოსწავლე სწავლობს, მათ შორის 20 პირველკლასელია. სკოლის შენობა 1930 წლიდან ფუნქციონირებდა, სიძველის გამო მისი დემონტაჟი გახდა საჭირო.

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილე, **ირინა აბულაძე**, პარლამენტის მაჟორიტარ დეპუტატ **ზაზა გაბუნიასთან** და საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს ხელმძღვანელ **ზვიად როსტომაშვილთან** ერთად, თბილისის 138-ე და 114-ე საჯარო სკოლებში დაგეგმილ სარეაბილიტაციო სამუშაოებს გაეცნო და მშობლებისა და სკოლის პედაგოგების მიერ დასმულ შეკითხვებს უპასუხა.

თბილისის №138 საჯარო სკოლის ახალი შენობის მშენებლობას საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო განახორციელებს და ბიუჯეტი 10 მილიონ ლარს იქნება. პროექტის ფარგლებში, ძველი შენობის დემონტაჟი განხორციელდება, სანაცვლოდ კი, თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად, 650 მოსწავლეს გათვლილი ახალი შენობა აშენდება.

სასწავლო პროცესის შეუფერხებლად წარმართვის მიზნით, 2019-2020 სასწავლო წლიდან, მოსწავლეები სწავლას ქალაქ თბილისის №48 საჯარო სკოლაში გააგრძელებენ. სამშენებლო სამუშაოები 2020 წლის დეკემბერში დასრულდება.

114-ე საჯარო სკოლის ახალი შენობის მშენებლობას, ევროპის საბჭოს განვითარების ბანკის (CEB) ფინანსური დახმარებით, მუ-

ნიციპალური განვითარების ფონდი განახორციელებს. სამშენებლო სამუშაოების დასრულება 2021 წლის ივნისში იგეგმება.

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით, რუსთავის პროფესიული კოლეჯის „მოდუსი“ რეაბილიტაცია დასრულდა. თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ახალი შენობა საქართველოს განათლების მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილემ, **გიორგი ვაშაიძემ**, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად, დაათვალიერა.

პირველ ეტაპზე, დასრულდა კოლეჯის ძირითადი სასწავლო კორპუსისა და სახელოსნოების სრული რეაბილიტაცია. სასწავლებელი სრულად ადაპტირებულია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტებისთვის. სარეაბილიტაციო სამუშაოებისთვის 2 703 000 ლარი გამოიყო.

მიმდინარე წელს კოლეჯში, ასევე, დაიწყება დამატებითი შენობის მშენებლობა, სადაც დაგეგმილია საკონფერენციო დარბაზის, სასადილოს, ფაბლაბისა და თეორიული კლასების ნაწილის განთავსება, რომლის საერთო ღირებულება 2 000 000 ლარს შეადგენს. გარდა ამისა, კოლეჯი რეგიონის საჭიროებებზე მორგებული, დამატებით, 10 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასაწარმად ემზადება, რის შემდეგაც, დამატებით, 400 სტუდენტი დაეუფლება პროფესიას.



თვალსაზრისი

კლასის დამრიგებელი

სკოლა-ოჯახი-საზოგადოება, ეს ის სამი რგოლია რომლის ჯაჭვიც ქმნის იმ გარემოს რომელშიც ვცხოვრობთ. ამ სამ რგოლს აერთიანებს: მშობელი, პედაგოგი, საზოგადოება (თემი). დღეს, რატომღაც, ეს რგოლები ცალ-ცალკე მოიაზრება, რაც წამყვანიანია მომავლისათვის. სამივე რგოლი თანაბრად უნდა იზიარებდეს ახალგაზრდა თაობის აღზრდის მისიას. ვინ უნდა შეკრას და გააერთიანოს ერთიანი საქართველოსთვის სამივე რგოლი? დამრიგებელმა, მოძღვარმა. ვინც მასწავლებლობას გადაწყვეტს და ბავშვების აღზრდის თეორიას ეზიარება, ის ქვეყნის მომავალს ვერ უღალატებს! და ეს არის სერტიფიცირებული პედაგოგი (აუცილებლად პროფესიულ უნარებში!). საგნის სწავლებისაგან განთავისუფლებული, მაღალანაზღაურებადი კლასის დამრიგებელი! კონკრეტულად ვის უნდა მოეთხოვოს პასუხი იმ დარღვევებსა და დანაშაულობებზე, რომელიც სკოლებში, მოზარდებში ხდება?

მანდატურის სამსახური ვერ შეასრულებს აღზრდის მისიას, იგი მხოლოდ მომხდარ ფაქტზე რეაგირებს, შიშის ფაქტორია და რამდენადმე პრევენციულ ზომებსაც მიიღებს, აღზრდა კი უშუალოდ მშობლებმა და მასწავლებლებმა უნდა იკისრონ. მე მომხრე ვარ, შვილის დანაშაულისთვის მშობელს მოეთხოვოს პასუხი (ისე, როგორც ეს კოსტარკაშია – რესპუბლიკა ცენტრალურ ამერიკაში, სადაც ბენდირების კოფიციენტი ყველაზე მაღალია და დანაშაულებებიც მინიმუმამდეა). მოზარდის აღზრდაში მშობელს უნდა დაეხმაროს სკოლა და მასწავლებელი, ეს ჭეშმარიტებაა, განსაკუთრებით კლასის დამრიგებელი, რომელიც ჩაბარებს რა კლასს სადამრიგებლოდ, უნდა იქცეს ოქროს რგოლად ბავშვსა და მშობელს, სკოლას და მოსწავლეს, თუნდაც გარე სამყაროს შორის. აუცილებელია სკოლის მუშაობაში მშობლის აქტიური ჩართულობა – პრობლემებზე ერთობლივი ზრუნვა.

კლასის დამრიგებელი გათავისუფლებულია საგნის სწავლებისაგან (საგანს ასწავლის მხოლოდ სადამრიგებლო კლასში), აქვს მაღალი ხელფასი, საგაკვეთილო პერიოდში არის თავის კლასთან. დაწესებული აქვს სტანდარტი, პროგრამა და ასწავლის „სასკოლო-საოჯახო ეთიკასა და ფსიქოლოგიას“ მე-7, მე-11 კლასებში. ეხმარება რა სხვადასხვა საგნის მასწავლებლებს საგაკვეთილო პროცესში, ამავე დროს, მათ დაინიშნოს სხვადასხვა ღონისძიების ჩატარებაში. მან იცის ყველა აღსაზრდელის ფსიქოლოგია, უნარ-ჩვევები და ეხმარება მათ ამ უნარ-ჩვევების განვითარებაში. სწორად დაეგმილი კლასგარეშე ღონისძიებები ძალიან კარგად მოქმედებს მოსწავლეთა ურთიერთობებზე. დამრიგებელი მშობელს ყოველდღიურად აწვდის ინფორმაციას მისი შვილის ქცევებისა თუ წარმატებების შესახებ. თითქმის ახლაც ასეა, მაგრამ... მასწავლებელი, რომელიც თავის საგანს სამ კლასში მინიმუმ ასწავლის და შეხება აქვს 80-100 მოსწავლესთან, სადამრიგებლო მოვალეობას სრულფასოვნად ვეღარ შეასრულებს, ან როდის

უნდა შეასრულოს? საგანი ასწავლოს თუ სხვადასხვა საკითხზე ისაუბროს? (დამრიგებლისთვის შაბათიც შეიძლება იყოს დატვირთული!) დამრიგებელს დიდი მოვალეობა აქვს ასევე მოსწავლეთა პროფორიენტაციის თვალსაზრისით (პროფესიის სწორად არჩევა ბენდირების ერთ-ერთი კომპონენტია).

სკოლებში მუშაობენ მანდატურები, ფუნქციონირებს ვიდუთვალის, ჩაკეტილი ჭიშკარი, ჩაკეტილი კარები. ნუთუ ეს სადამსჯელო დაწესებულებაა?! ახლა დეტექტორიც გახდა საჭირო. სკოლის პრობლემას ვერ მოხსნის ვერც ვიდუთვალის, ვერც მანდატური და ვერც მთელი ბატალიონი სამართალდამცავებისა. შიშით შექმნილი ნესრიგი, სადაც სხვაგან იჩენს თავს. ნუთუ ამ ბავშვებს, რომლებსაც მომავალი საზოგადოების ასაშენებლად „ვზრდით“, ეს აღზრდის? პირიქით, უფრო იმატა სკოლებში დანაშაულმა და ყველა ერთხმად აღიარებს, რომ საჭიროა მანდატურის უფლებების გაზრდა. მანდატური კი ცდილობს დანაშაულის პრევენციას, მაგრამ დანაშაული მაინც ხდება. კონკრეტულად ვის უნდა მოეთხოვოს პასუხი იმ დანაშაულზე, რომელიც 2017 წლის 1 დეკემბერს მოხდა თბილისის 51-ე საჯარო სკოლაში? მსგავსი დანაშაული ხომ სკოლის გარეთ, ქუჩაშიც ხდება.

„კლასის დამრიგებლის“ მაღალი სტატუსი და კარგად შედგენილი სახელმძღვანელო „სასკოლო-საოჯახო ეთიკა და ფსიქოლოგია“ სრულად თუ ვერა, ნაწილობრივ მაინც შეეშველებს ამ საქმეს. მოზარდი სკოლაშივე უნდა მომზადდეს ცხოვრებისათვის, ჩამოყალიბდეს პიროვნება. მას სჭირდება საუბრები სიყვარულზე, ღირებულებებზე, ნაადრევ ქორწინებასა და სექსუალურ ურთიერთობებზე, ადამიანებს შორის ურთიერთობებზე, ოჯახსა და ოჯახურ პრობლემებზე.

სახელმძღვანელო, რომელსაც ჰქვია „სასკოლო-საოჯახო ეთიკა და ფსიქოლოგია“ გააერთიანებს იმ ჯადოსნურ სამკუთხედს, რასაც ჰქვია სკოლა-ოჯახი-საზოგადოება. აქ ნამოჭრილი პრობლემები განიხილება მშობლებთან ერთად. ეს სახელმძღვანელო მთელი ცხოვრების მანძილზე გამოადგება მოზარდს, სკოლის მერხიდან დაწყებული ოჯახის შექმნით გაგრძელებული, ოჯახური ურთიერთობების, შვილების აღზრდის და თანხვედრის შორის ურთიერთობების დალაგებით დასრულებული...

ძალიან ძნელია, მოსწავლეს იდეალებსა და იდეალურზე ესაუბროს, როცა რეალობა სხვა მოცემულობებში გვაცხოვრებს. ამიტომაც არის ეს საგანი საჭირო – მოწახსოვს მოზარდმა „ოქროს შუალედი“ იდეალურსა და რეალურს შორის.

სკოლის ფინური მოდელი ითვალისწინებს, რომ საგნის მასწავლებელს, რომელსაც ჰყავს დამხმარე ასისტენტი, „მომავლის მასწავლებელი“ ჰქვია. ასეთი იქნება ჩვენს სკოლაში კლასის დამრიგებელი, რომელიც არა მარტო მოსწავლეებს დაეხმარება წარმატების მიღწევაში, არამედ მასწავლებელსაც. იგი ფუნქციონირებს მიჰყვება მოზარდის ზრდის პროცესს, ქმნის კლასში ერთგვარ ოჯახურ გარემოს, სადაც ყველა ყვე-

ლაზე ზრუნავს, იგი თანამშრომლობს მშობლებთან და მათი შემცველია სკოლაში. ეს საკითხი დაწესებულების საფეხურზე, I-IV კლასებში, შედარებით მონესრიგებულია, მშობლები ჩართული არიან კლასის მუშაობაში, მაგრამ მეხუთე კლასიდან ეს კონტაქტი, თითქმის, მთლიანად წყდება. მხოლოდ ხუთნობიან დასვენებაზე მათთან კონტაქტი საკმარისი არ არის და თვეში ერთხელ დანიშნული მშობელთა კრებაც არაეფექტურია.

ყველაზე კარგი გამოსავალი უნდა იყოს კლასის დამრიგებლის ინსტიტუტის გაძლიერება. მანდატურზე უფრო დამრიგებელია საჭირო (სკოლის რეფორმის ადრულ ეტაპზე გაიფლერა ამ პროექტმა, მაგრამ მერე აღარავინ მიაქცია ყურადღება), რომელიც განუწყვეტლივ ზრუნავს თავისი მონაფეხების ეთიკურ-ესთეტიკურ, მორალურ ფორმირებაზე, თავის კლასში ყველა გაკვეთილს ესწრება, აკვირდება და აღწუხავს თითოეულის ქცევას, აკადემიურ მოსწრებას; ეხმარება მოსწავლეს, როგორც ასისტენტი – მასწავლებელსაც, გაკვეთილის ჩატარების პროცესში დამრიგებელი თავის სადამრიგებლო კლასში უამრავ ღონისძიებას ატარებს; არის შუამავალი ოჯახსა და სკოლას შორის, მისი ვალია, თავისი მოსწავლეების ცხოვრება საინტერესო და ხალისიანი გახადოს.

სკოლა მოსწავლეების ნდობას მხოლოდ მათზე ზრუნვით მოიპოვებს განსაკუთრებით მე-7-მე-11 კლასებში აქტიურ, ორგანიზებულ, ყურადღებიან დამრიგებელთან მოზარდები გულახდილები არიან, ენდობიან და ანდობენ თავიანთ საიდუმლოებებს. დამრიგებელიც მათი მეგობარი, დამცველი და დამხმარე ხდება. სხვადასხვა პრობლემების მოგვარებაში. სწორ კალაპოტში აყენებს მათ ღირებულებებს: ტოლერანტობას, სუსტის პატივისცემას, პასუხისმგებლობას, ქცევის ნორმებს სკოლაში, ოჯახში, საზოგადოებაში; მათი გულშემატკივარია ყველა საქმიანობაში; ეფექტურად უნდა მუშაობდეს, რომ მოსწავლეებმა კარგად გააცნობიერონ საკუთარი უფლებები და მოვალეობები.

დღევანდელ მშობლებს, რომლებიც მუშაობენ (ზოგი საერთოდ არ არის ქვეყანაში), ზუსტად ასეთი მასწავლებელი-დამრიგებელი სჭირდებათ. მოზარდს უნდა ჰქონდეს სოციალური მხარდაჭერა და აღიარება, შეეძლოს თავისი თავის რეალიზაცია, ჰქონდეს სოციალური მიკუთვნებულობის განცდა. განსაკუთრებულია ე.წ. გარდატეხის ასაკი, როცა მოზარდი ძიებაშია, სანდო მეგობარი და გზამკვლევი სჭირდება, რადგან არის საკითხები, რომელთაც მშობლებსაც ვერ უშხელს. აქაც განსაკუთრებული როლი სწორედ კარგ დამრიგებელს აქვს.

ეითარ კაპალაძე
მახინჯაურის საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი

P.S. ნერილის ავტორს ასეთი სახელმძღვანელო უკვე შედგენილი აქვს.

აღზრდა არაფორმალურ გარემოში

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას ყველა დროსა და ყველა ეპოქაში უდიდესი პასუხისმგებლობა ჰქონდა დამართული მომავალი თაობის აღზრდასა და განათლების მიმართულებით. დღესაც ეს მოვალეობა აკისრია: გლობალიზაციისა და ინტერნეტის ეპოქაშიც კი სკოლის სააღმზრდელო დანიშნულება ვერაფერმა ჩაანაცვლა. განათლების სისტემამ უნდა უზრუნველყოს ახალგაზრდები შესაბამისი კომპეტენციებით, ცოდნითა და უნარ-ჩვევებით, რაც, ასევე, თანამედროვეობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევაა. პედაგოგიკის სპეციალისტები სკოლის საგანმანათლებლო გამოცდილებას სამ ასპექტად ყოფენ:

- ❖ ფუნდამენტური ცოდნის გაზიარების პროცესი, რაც გულისხმობს ეროვნული სასწავლო გეგმით, კურსკულუმით გათვალისწინებული საკითხების სწავლებას;
- ❖ სკოლის ფიზიკური გარემო და სტრუქტურა, რაც სასწავლო გარემოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კომპონენტია. სკოლის ფიზიკურ სტრუქტურას წარმოადგენს არა მხოლოდ სასწავლო დაწესებულება, აღჭურვილობა, არამედ საგაკვეთილო გეგმა, გრაფიკი, დროისა და სივრცის რესურსები;
- ❖ სასკოლო ცხოვრების გარკვეული ასპექტები, რომელთა სწავლება არ არის ასახული ეროვნულ სასწავლო გეგმაში, მაგრამ სკოლაში სწავლის პერიოდში მოსწავლეები ცნობიერად თუ ქვეცნობიერად იძენენ ცოდნის, უნარების ან გამოცდილების სახით.

წარმატებული საგანმანათლებლო პროცესი ამ სამი ასპექტის სწორი კომბინაციის შედეგად მიიღწევა და რადგან სკოლის მთავარი ამოცანა მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო გარემოს შექმნაა, შესაბამის ასპექტზე ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორც პირველ-მეორე. აქედან გამომდინარე, საჭიროა, სკოლაში შესაბამისი ადგილი დაეთმოს საგაკვეთილო პროცესის მიღმა არსებულ სასკოლო ცხოვრებას – ესაა აღზრდის არაფორმალური გარემო.

სკოლაში მიღებული განათლება ოფიციალურ სასწავლო გეგმებში ასახულ საგნებსა და მისაღწევ შედეგებს აღემატება, მოსწავლეები, აკადემიურ საკითხებთან ერთად, სოციალურ ნებსებასა და მოლოდინებს ეცნობიან. ეს მორალური თუ სოციალური მნიშვნელობის მქონე ინფორმაცია და გარკვეულ სოციალურ უნარებს, ლექსიკას, მეტაფორებს გულისხმობს. ამ უნარების ჩამოსაყალიბებლად აუცილებელია სწავლა/სწავლების არა მხოლოდ აკადემიური ასპექტის გათვალისწინება, არამედ განათლების არაფორმალურ ასპექტებზე დაკვირვებაც.

თანამედროვე შრომითი ბაზრის მოთხოვნების გამო, სკოლიდან სახლში მისული სულ უფრო მეტი ბავშვი რჩება უფროსების ყურადღების გარეშე. დასაქმებული მშობლების უმრავლესობას გვიან დამემდე უწევს სამსახურეობრივი მოვალეობების შესრულება და სახლში დაბრუნების შემდეგ შვილებისათვის სათანადო დროის დათმობის საშუალება აღარ აქვს. არადა, სკოლის გარეთ, ოჯახსა და სოციალურ მიღებული გამოცდილება უზარმაზარ გავლენას ახდენს ბავშვის განვითარებაზე და მნიშვნელოვანწილად განაპირობებს მის აკადემიურ პროგრესს.

მშობლების ყურადღების გარეშე, ან მინიმალური ყურადღების პირობებში დარჩენილ ბავშვებში, ერთი მხრივ, აკადემიური პრობლემები იჩენს თავს, ხოლო მეორე მხრივ, სარისკო ქცევის ჩამოყალიბების ალბათობაც მნიშვნელოვნად იზრდება. ამდენად, მოსწავლეთა აკადემიური წინსვლის უზრუნველყოფა და დადებითი სოციალური მიმართულებით განვითარება დღევანდელი საგანმანათლებლო სისტემის და მრავალი ოჯახის ამოცანას წარმოადგენს.

აქვე ისიც უნდა მივითითოთ, რომ ბავშვის თავისუფალი დროის გამოყენება დღევანდელსა და მომავალს უკიდურესობაში არ უნდა გადავარდეთ. კლასგარეშე პროგრამების ზოგიერთი კვლევა ერთ პრობლემასაც წარმოაჩენს, რომლის წარმატებით გადაჭრა მხოლოდ მასწავლებლებისა და მშობლების ეფექტური კოორდინაციის მეშვეობით და რაციონალური განაწილებული მხარდაჭერითაა შესაძლებელი. აღნიშნული კვლევების შედეგები გვაჩვენებს, რომ სასწავლო პროცესის შემდეგ მოსწავლის სხვადასხვა აკადემიურ პროგრამაში ჩართვა, ზოგჯერ მის ზედმეტად დატვირთვას იწვევს და შედეგად, სწავლის ხარისხს ამცირებს, ხოლო ემოციურ მდგომარეობას დაძაბულობას მატებს. ბავშვებს თავისუფალი დრო აღარ რჩებათ და ისინი სტრესულ მდგომარეობაში ვარდებიან. მსგავსი შემთხვევების იდენტიფიცირებას მშობლებისა და მასწავლებლების დაკვირვებითი თვალის და ბავშვთან აქტიური კომუნიკაცია სჭირდება. აუცილებელია, მშობელმა და მასწავლებელმა ერთობლივად განიხილონ მოსწავლის შესაძლებლობები და მიდრეკილებები, რათა სათანადო დატვირთვის გრაფიკი და აქტივობები შეარჩიონ.

თანამედროვე საგანმანათლებლო სისტემის პრობლემა ამ ორ უკიდურესობას შორის მოქცეული მოზარდი და მისი თავისუფალი დროის გამოყენების რაციონალური დაგეგმვაა. კლასგარეშე პროგრამებს მოსწავლის აკადემიური მოსწრების, ემოციური და ფიზიკური მდგომარეობის გაუმჯობესება შეუძლია. ეფექტური პროგრამები მოსწავლეებს მათი ინტერე-

სის სფეროში მუშაობის საშუალებას აძლევს, ცნობისმოყვარეობას უკმაყოფილებს, ეხმარება საყვარელი საქმიანობის შეძენას და სხვადასხვა სტილით სწავლაში. კლასგარეშე აქტივობებში მონაწილეობისას მოსწავლეს სხვადასხვა უნარის აღმოჩენისა და რეალიზების, თანატოლებთან თანამშრომლობითი ურთიერთობის საშუალება ეძლევათ. არაფორმალური სასწავლო გარემოს გაუმჯობესებისათვის საჭირო პროგრამა ისე უნდა დაიგეგმოს, სკოლის პედაგოგიური კოლექტივისა და მშობელთა თანამშრომლობით, რომ მოზარდს განუვითარდეს პრობლემების გადაჭრის, კონფლიქტების მართვის, საჭირო ინფორმაციის მოპოვებისა და დამუშავების უნარები.

სასწავლო გარემოს გასაძლიერებლად და გასამდიდრებლად ჩვენი სკოლა სხვადასხვა კლასგარეშე აქტივობას სთავაზობს იმ მოსწავლეებს, რომლებსაც აქვთ სიახლეების დაუფლების სურვილი: სხვადასხვა საგნობრივი წრე, სამუსიკო და ქორეოგრაფიული სტუდიები, სოციალური პროექტები.

კლასგარეშე მუშაობის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია მასობრივი სასცენო ღონისძიებები, რომელთა მომზადება ჩატარების მდიდარი გამოცდილება გვაქვს. ეს საკითხი ჩვენი სკოლის პირობებში ორმაგად მნიშვნელოვანია, რადგან სკოლა მუნიციპალური ცენტრისაგან დაშორებულია და, თითო-ოროლა მოსწავლის გარდა, ბავშვები ვერ დადიან ბათუმში ან ქობულეთში მათთვის სასურველი არაფორმალური განათლების მისაღებად (სახელმწიფო და სასპორტო სკოლები, წრეები, ყინულის სასახლე და ა.შ.). ამ მოსწავლეებს სკოლამ უნდა შეუწყოს ეს დანაკლისი. სოფელში მოსწავლეთა თავისუფალი დროის ორგანიზების სხვა საშუალება არ არსებობს, თუ არ ჩავთვლით სოფლის განაპირობს არსებულ სასპორტო მიწა-მოედანს, რომელთაც რიგ-რიგობით სარგებლობს ორი სოფლის სამი თაობა.

უკანასკნელი წლების მანძილზე ჩვენს სკოლაში (ისე, როგორც ბევრ სხვა სკოლაში) მასობრივი სასცენო ღონისძიებები რატომღაც უკანა პლანზე გადავიდა, მხოლოდ რამდენიმე მოხალისე ენთუზიასტი თუ მოამზადებდა ამ ტიპის სასკოლო ღონისძიებას. მასწავლებლები, უაღრესად შრომატევადი რამდენიმეკვირია რეპეტიციების ნაცვლად, ექსკურსიებსა და ლაშქრობებზე აფგობინდნენ მოსწავლეების წაყვანას.

გადავწყვიტე, კოლეგებისათვის გამეზიარებინა ჩემი მცირეოდენი გამოცდილება მასობრივი სასცენო ღონისძიების მომზადების სფეროში, გავაცანი დეტალურად განწერილი ღონისძიების განხორციელების ეტაპები. პრაქტიკულად ვაჩვენე, თუ როგორ დაენერათ სცენარი, შემდეგ კი როგორ განე-

თვალსაზრისი

ხორციელებინათ იგი სცენაზე. ამასთან ერთად, ვურჩივ, რომ არ იყო აუცილებელი, სცენარი თავად დაენერათ. მოვამზადე საჩვენებელი ღონისძიება: ლიტერატურულ-მუსიკალური სა-

ლამო სამხედრო-პატრიოტულ თემაზე „სამშობლო ჩემი გულის ფეთქება...“. მას პროექტის სახე მივეცი. პროექტის განხორციელების ყოველ ეტაპზე ჩართული იყო მსურველი პე-

დაგოგი, ეს იყო სტრატეგია „სწავლა კეთებით“, რომელიც გამოვიყენე არა მარტო მოსწავლეებთან მიმართებაში, არამედ კოლეგებთანაც. ნაყოფიერი გამოდგა „სწავლა კეთებით“, მასობრივი სასცენო ღონისძიებები აღზრდის არაფორმალური გარემოს გაუმჯობესების სამსახურში ჩადგა.

მასობრივ სასცენო ღონისძიებებს ჩვენს პირობებში მრავალნაირი დატვირთვა აქვს, რომელთაც ჩამოვთვლი მათი ღირებულებითი მნიშვნელობის მიხედვით:

- 1) სანახაობრივი, რასაც, მიუხედავად ინტერნეტისა, დანატრებულნი არიან ბავშვებიც და მშობლებიც;
2) მოსწავლეთა შემოქმედებითი და სოციალური უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება-განმტკიცება;
3) მოსწავლეთა შესაძლებლობების რეალიზება;
4) მოსწავლეთა თავისუფალი დროის ორგანიზება;
5) თეორიული ცოდნის პრაქტიკული გამოყენება და ა.შ.

ეს ჩამონათვალი კიდევ შეიძლება გავაგრძელოთ. ზოგადად, სააღმზრდელო პროცესში კლასგარეშე საქმიანობის ყველა ფორმას თავისი როლი აქვს, მათი საშუალებით ხდება მოსწავლეთა თეორიული ცოდნის პრაქტიკული გამოყენება. სასურველია, კლასგარეშე მასობრივი სასცენო ღონისძიებები განხორციელდეს პროექტის სახით, რადგან ამ შემთხვევაში მოსწავლე აქტიური სუბიექტი იქნება და არა პასიური ობიექტი. მასწავლებელმა უნდა გაითვალისწინოს ისეთი ასპექტები, როგორცაა მოსწავლეების ინტერესები, საჭიროებები, შეხედულებები, მოლოდინები, მოტივაცია. მასწავლებელი კარგად უნდა იცნობდეს მათ მოთხოვნებსა და ინტერესებს, ცდი-

ლობდეს იმ ნებსებისა და უნარების ჩამოყალიბებას, რომლებიც ჯანსაღი სასკოლო გარემოს ფორმირებას შეუწყობს ხელს.

მასობრივი სასკოლო ღონისძიება მოსწავლეთა სურვილებსა და ინტერესებზე დაყრდნობით უნდა დაგეგმოს და განახორციელოს მასწავლებელმა, ამას მასწავლებლის სურვილი და სკოლის ადმინისტრაციის თანხმობაც ჰყოფნის. დანარჩენი მასწავლებლის შესაძლებლობებსა და გამოცდილებასა და დამოკიდებული. როცა ასე მოიქცევა ჯერ ერთი მასწავლებელი, შემდეგ – მეორე, მესამე, მეოთხე... შედეგად მივიღებთ მოსწავლეზე ორიენტირებულ არაფორმალურ სასწავლო გარემოს ერთი რგოლის – მასობრივი სასცენო ღონისძიებების – გამოცდისგან. მერე კი, რგოლს რგოლი მივმატება.

კლასგარეშე აქტივობებში მონაწილეობისას მოსწავლეებს სხვადასხვა უნარის აღმოჩენისა და რეალიზების, საკუთარ ძალებში დარწმუნების, ახალი მეგობრების შექმნისა და თანატოლებთან საქმიანი, პროდუქტიული და თანამშრომლობითი ურთიერთობის საშუალება ეძლევათ.

მოსწავლეზე ორიენტირებული არაფორმალური სასწავლო გარემოს გაუმჯობესებისა და მოსწავლეთა თავისუფალი დროის რაციონალური ორგანიზებისათვის საჭირო მრავალფეროვანი კლასგარეშე პროგრამა უნდა დაიგეგმოს სკოლის პედაგოგიური კოლექტივისა და მშობელთა თანამშრომლობით; საჭიროა ინტენსიური კომუნიკაცია და პარტნიორობა თემთან, ორგანიზაციებთან, სამართლებრივ ორგანოებთან, ახალგაზრდულ ჯგუფებთან.

მაშასადამე, აღზრდის არაფორმალური გარემო საგანმანათლებლო სისტემის მნიშვნელოვანი ნაწილია, რომელსაც მოსწავლის აკადემიური მოსწრების, ემოციური და ფიზიკური მდგომარეობის გაუმჯობესება შეუძლია. მისი შექმნისა და გაუმჯობესებისათვის სასწავლო დაწესებულება, ამ შემთხვევაში – სკოლა, განუწყვეტელი უნდა ზრუნავდეს. არაფორმალური გარემოში შექმნილმა სოციალურმა უნარებმა უნდა

სპორტი

ეროვნულ ნაკრებთა დონეზეც უჭირთ შედეგების მოპოვება. ასეა თუ ისე, ჭიდაობის დამატება ჩვენთვისაც მომგებიანი იყო, რადგან ერთ-ერთი წარმატებული სპორტის სახეობა გვემატებოდა. მართალია, წინააღმდეგობა იცოდა, მასპინძლებთან ბრძოლა იოლი არ იქნებოდა (მით უფრო, ამ სახეობაში მთავარი კონკურენტები ვიყავით) და განსაკუთრებით ოქროს მედლებს იოლად არავინ გამოგვატანდა, მაგრამ წარმატების იმედი მაინც იყო; თუნდაც სხვა სინჯის მედლების მოპოვება ხომ შეიძლებოდა და ამჯერად მხოლოდ ძიუდოს იმედად აღარ ვიქნებოდით – ამ ფესტივალის ისტორიაში რაც კი მედლები მოგვიპოვებია, ლომის ნილი ძიუდოზე მოდის, სხვებზე კი – თითო-ორი.

საბოლოოდ, ვარაუდი და მოლოდინი მართლაც გამართლდა: ბაქოში ჩვენები ძველებურად დიდი წარმატებით გამოვიდნენ, სწორედ ძიუდოსა და საჭიდაო სახეობებში მოვიპოვეთ 13 მედალი: 1 ოქრო, 5 ვერცხლი და 7 ბრინჯაო. აქედან ძიუდოსის ტა ნაკრების ანგარიშზე 5 ჯილდოა: თითო ოქრო-ვერცხლი და 3 ბრინჯაო; ბერძენ-რომაელებმა და თავისუფალი სტილით მოჭიდავეებმა ზუსტად თანაბარი შედეგით დაასრულეს გამოსვლა – 4-4 მედლით, რომლებიც ხარისხობრივადაც თანაბრადაა განაწილებული – 2-2 ვერცხლი და ბრინჯაო.

ძიუდოსისთანავე ჩემპიონი ნიკა ბაჩიაშვილი გახდა ყველაზე მჩატე ნონაში – 55 კილოგრამში; აკაკი ჯაფარიძე (81) მხოლოდ ფინალში დამარცხდა და ვერცხლს დასჯერდა, ხოლო მესამეზე თორნიკე ფოლადაშვილი (90), გიგა ტატიაშვილი (+90), სამიოდე კვირიტიანი ევროპის ჩემპიონი გახდა და გვანცა სომხიშვილი (+70) გავიდნენ. აღსანიშნავია, რომ გვანცა სომხიშვილი ახალგაზრდული ნაკრების წევრის, სოფიო სომხიშვილის უმცროსი დაა და ოფიციალურ შეჯიბრებაზე პირველად ჭიდაობდა.

თავისუფალი სტილით მოჭიდავეთაგან ვერცხლის მედლები ნიკოლოზ სანთელაძემ (45) და ლუკა გუგუშაშვილმა (48) მოიპოვეს, ბრინჯაოსი – დავით აბდლაძემ (60) და დავით ფაცი-ნაშვილმა (65). ბერძენ-რომაელთაგან ვიცე-ჩემპიონები სვირია აბულაძე (48) და რომეო ბერიძე (55) გახდნენ, ხოლო მესამე ადგილზე ნუკრი ბენიძე (51) და ნიკა ბროლაძე (60) გავიდნენ.

სამწუხაროდ, გამართლდა სპეციალისტთა შიში და ჩვენებმა აზერბაიჯანელებთან გამართული ყველა ნახევარფინალური და ფინალური, ანუ პრინციპული შეხვედრა წააგეს, თუმცა მათი უმეტესობა მსაჯებმა წააგებინეს. საქართველო, საერთო გუნდურ ჩათვლაში, 21-ე ადგილზე გავიდა.

წარმატება ნაქირავები ნავებით

16 სექტემბერს, სლოვაკეთში, ჩატარდა საერთაშორისო ტურნირი ნიჩბოსნობაში „ოლიმპიური იმედი“, რომელშიც დიდი და ჩვენთვის ისტორიული წარმატებით გამოვიდა 15 წლის ალექსანდრე ნივნიადე, რომელმაც ერთბაშად სამი დისტანცია მოიგო: 200, 500 და 1000-მეტრიანი. ის სამივე მათგანზე ფინალშიც კი საუკეთესო შედეგით მივიდა და მერე იქაც ყველას აჯობა, ახლოსაც არ მიიკარა არავინ.

როგორც ვითხარით, ეს ამბავი ქართული ნიჩბოსნობისთვის უჩვეულოა, რადგან აქამდე სამივე დისტანცია არც ერთ ქართველს არ მოუგია, თუმცა ნივნიადის გამარჯვებაში არის ერთი უჩვეულო მომენტიც, რომელიც დასაფიქრებელი უფროა: მან სლოვაკეთში ადგილზე ნაქირავები ნავებით იასპარეზა და ისე მოიგო ეს დისტანციები, რადგან საკუთარი, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი, ნავი არ გააჩნია. იმ ნავებიდან ზოგი მისი წონისთვის შეუსაბამოც იყო, რაც 15 წლის მოზარდს დამატებით პრობლემებს უქმნიდა. ამის მიუხედავად, მაინც შეძლო გამარჯვების მოპოვება.

შეავსოს ფორმალურ გარემოში შექმნილი გამჭოლი კომპეტენციების უნარ-ჩვევები.

მერი ბეჟანიძე
ზვიად დავითაძის სახელობის ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ შუაღელეს საჯარო სკოლის ისტორიის წამყვანი მასწავლებელი

ბიბლიოგრაფია

- 1. ბაგრატიონ-გრუზინსკი მ., განათლება ფორმალურ და არაფორმალურ გარემოში, სასწავლო აქტივობები ყველასათვის, გზამკვლევი მასწავლებელთათვის, იუნისეფის გამოცემა; https://www.wvi.org/sites/default/files/TEORIA.pdf;
2. ბედინაძე ლ., კლასგარეშე მასობრივი ღონისძიებების სცენარების შედგენის მეთოდოლოგია, შინაარსი და ჩატარების ორგანიზაცია დაწყებით კლასებში, 2017; https://www.mtsodneli.com/single-post/2017/11/28/jijji;
3. გორგოძე ს., არაფორმალური განათლების ფორმალური შესაძლებლობები, 2016; http://liberali.ge/articles/view/25924/araformaluri-ganatebis-formaluri-sh;
4. დოლიძე თ., ფორმალური და არაფორმალური განათლების თავისებურებანი, 2017; http://mastsavlebeli.ge/?p=14984;
5. იდაძე ნ., მასწავლებელი და სოციალური გარემო, GESJ; http://gesj.internet-academy.org/download.php?id=2404.pdf&t=1;
6. კვიციანიძე ა., არაფორმალური განათლება თვისებრივად განვითარებისათვის, 2015, რადიო თავისუფლება, თავისუფალი სივრცე; https://www.radiotavisupleba.ge/a/tavisupali-sivrtse-arapormaluri-ganatile;
7. ნეფარიძე თ., კლასგარეშე აქტივობები და პროგრამები, 2012, http://mastsavlebeli.ge/?p=494;
8. რევიშვილი ნ., სკოლა სასწავლო გეგმის მიღმა, 2012, http://mastsavlebeli.ge/?p=2488.

კვლევას საჭიდაო სახეობები

გასული ზაფხულის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ახალგაზრდული სპორტული ფორუმი ბაქოში გამართული ევროპის XV ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალი იყო, რომელიც სპორტის 10 სახეობაში ჩატარდა (ველოსპორტი, კალათბურთი, მძლეოსნობა, სპორტული ტანვარჯიში, ჩოგბურთი, ფრენბურთი, ცურვა, ძიუდო, ჭიდაობა, ხელბურთი). აქედან საქართველო 6 სახეობაში გამოვიდა – ძიუდო, ჭიდაობა, ჩოგბურთი, ცურვა, ველოსპორტი და მძლეოსნობა, სულ კი, ფესტივალში ჩვენგან 36 სპორტსმენი გამოდიოდა.

ამ ღონისძიებაში ევროპის 49 ქვეყნის 3 600 სპორტსმენი და ოფიციალური პირი მონაწილეობდა. ერთადერთი ევროპული ქვეყანა, რომელიც ბაქოში არ ჩავიდა, სომხეთი იყო – აზერბაიჯანმა მათი უსაფრთხოების გარანტიები ვერ გასცა, თუმცა თამამად შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ ეს მთლიანად პოლიტიკური სასჯელი იყო: სომხეთის გუნდები ხშირად არა, მაგრამ პერიოდულად მაინც ჩადიან ბაქოში სხვადასხვა მნიშვნელოვან ღონისძიებებზე – ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატებზე. თუნდაც 2015 წელს, ბაქოშივე გამართული, პირველი ევროპული თამაშები გაიხსენოთ, რომელშიც სომხეთიც მონაწილეობდა. მართალია, ყოველი ასეთი ვიზიტისას სომხე სპორტსმენებს ტრიბუნების წარმოდგენილი ზენოლის ქვეშ უნევთ გამოსვლა, მაგრამ აზერბაიჯანმა, ყველა შემთხვევაში, ზედმიწევნით კარგად მოახერხა მათი უსაფრთხოების დაცვა, ამჯერად კი გარანტიები ვერ გასცა. ეტყობა, არც „ზემოდან“ იყო დიდი ზენოლა, თუმცა ერთი კია, რომ ამ ოლიმპიურ ფესტივალს წინ ყარაბახის „მიძინებული“ კონფლიქტის მავანთა მცდელობით „გამოღვიძება“ უძლოდა წინ.

ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის პროგრამაში პირველად მოხვდა ჭიდაობა, რაც მთლიანად მასპინძელთა დამსახურებად უნდა მივიჩნიოთ – აზერბაიჯანმა ყველაფერი გააკეთა, მაქსიმალურად გამოიყენა თავისი გავლენა თუ მასპინძელი ქვეყნის სტატუსი, რომ მისთვის ერთ-ერთი წარმატებული სახეობა პროგრამაში შეეტანათ. ევროპის ოლიმპიურ კომიტეტთა გაერთიანება დაითმინა კიდევ, ოღონდ გარკვეული კვოტა დაუნესეს: ვინაიდან ჭიდაობაში ვაჟთა ორი სტილი – თავისუფალი და ბერძნულ-რომაულია, რასაც გოგონების ჭიდაობაც ემატება, მონაწილეთა რაოდენობა მნიშვნელოვნად იზრდებოდა. ამიტომ, 10-დან მხოლოდ 6-6 წონაში დართეს მონაწილეობა. აზერბაიჯანმა აქაც გამოიყენა თავისი გავლენები და პირველი 6-6 წონა შეატანინა – ტრადიციულად, მათ მჩატე წონებში ძლიერი ათლეტები ჰყავთ, ზედა წონებში კი (ასეა



ძიუდოსტება ევროპას გააკვირვებს

ქართველი ძიუდოსტების წარმატებები ნამდვილად არ გვიკვირს, მაგრამ ის შედეგი, რაც წინა კვირას ჩვენმა ახალგაზრდულმა ნაკრებმა ფინურ ვანტაში, ევროპის ახალგაზრდულ ჩემპიონატზე მოიპოვა, ნამდვილად გამორჩეულია: 10 მედალი, აქედან 9 – პირად პირველობაში და მათ შორის – 6 ოქრო, 1 ვერცხლი და 2 ბრინჯაო. თუმცა ამაზე უფრო საყურადღებო სხვა გარემოებაა: ჩვენი ბიჭები 7 წონიდან მხოლოდ 5-ში გამოვიდნენ და ხუთივე წონაში გაიმარჯვეს! ერთი სიტყვით, სადაც კი იასპარეზეს, ოქროს არავინ გააკარეს და როგორც უცხოელმა კომენტატორებმა იხუმრეს, ევროპის ჩემპიონატი – ამხელა შეჯიბრება საქართველოს პირველობად აქციეს! თანაც, 81 კილოგრამში სულაც ქართული ფინალი გამართეს, ხოლო 90-ში კვარცხლბეკზე ოთხიდან ორი ქართველი იდგა თანაც – მოგვარეები, ბეჭაურები. ასეთი მასშტაბური წარმატება იშვიათია და შეუნებრივია, დიდი უპირატესობით მოიგეს საერთო გუნდური ჩათვლა. ამასთან, ბიჭებს გოგონებმაც კარგად აუბეს მხარი და 2 მედალი – თითო ოქრო-ბრინჯაო მათაც მოიპოვეს. ევროპის ჩემპიონები გახდნენ: ქუთაისელი გიორგი თუთაშვილი (66), ხაშურელი (თუმცა ქარელის სასპორტო სკოლის აღზრდილია) ტატო გრიგალაშვილი (81), თბილისელი ლაშა ბეჭაური (90), ტყუბულელი ილია სულამანიძე (100) და ასევე თბილისელები – გელა ზაალიშვილი (+100) და ეთერ ლიპარტიელიანი (57); ვერცხლს თბილისელი ვლადიმერ ახალკაცი (81) დასჯერდა, ხოლო ბრინჯაოს მედლებს დედაქალაქელი მიხეილ ბეჭაური (90) და აბაშელი მარიამ ჭანტურია (70) დაუფლნენ.

ამ გუნდის ერთადერთ ხინჯად მერეულ გუნდურ ტურნირში მარცხი თუ მიიჩნევა, თუმცა უმედლოდ არც იქ დარჩენილან და ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს. ეს შეჯიბრება მერეული პრინციპით ტარდება – გუნდში 3-3 გოგო და ბიჭი შედის, ჩვენები კი მეოთხედფინალში მომავალ ჩემპიონ რუსეთთან დამარცხდნენ. ცუდი არც ბრინჯაოს მედალია, მაგრამ პირად პირველობაში ჩვენებმა (გუნდურშიც ზუსტად ის ფალავნები გამოდიოდნენ, სარეზერვოები არც ჰყავდათ წაყვანილი) იმდენად დამაჯერებლად იჭიდავეს, იმდენად აღემატებოდნენ მეტოქეებს, რომ მათგან, ოქროს გარდა, სხვა შედეგი წარუმატებლობა იქნებოდა. თანაც, ზედიზედ მეორე ანალოგიური შეჯიბრებაა, რომ გუნდურში გოგონები ბიჭებზე მეტი შემართებით ჭიდაობენ.

ირაკლი თავაძე



აქალაქი ინსტანაცია გზავნიც მსოფლიო ბავშვებს



3,758 სკოლის შურგანთა, რომელიც ნიუ-იორკში, გაეროს ოფისის წინ, განათავსეს, 2018 წელს კონფლიქტის ზონაში დაღუპულ ბავშვებს განასახიერებდა.

ამაღლებელი სანახავი იყო ათასობით შურგანთის რიგი, რომლებიც სასაფლაოს გაგახსენებდათ. სასწავლო წლის დასაწყისში მოწყობილი ინსტალაცია ერთგვარი გზავნილი გახდა მსოფლიო ბავშვებისთვის – გაეროს ბავშვთა ფონდი მოუწოდებს მათ, დაასრულონ ძალადობა და დაიცვან საომარი მოქმედებების არეალში მყოფი ბავშვები.

„UNICEF-ის შურგანთები ყოველთვის იყო იმედისა და ბავშვების შესაძლებლობის სიმბოლო, – ამბობს UNICEF-ის აღმასრულებელი დირექტორი ჰენრიეტა ფორი, – რამდენიმე კვირაში, მსოფლიო ბავშვები გაეროს გენერალურ ასამბლეაზე შეიკრიბებიან ბავშვთა უფლებების კონვენციის 30 წლის იუბილეს აღსანიშნავად, ამ ინსტალაციამ კი მათ არსებული რეალობა უნდა შეახსენოთ.“

„გასულ წელს, კონფლიქტურ ზონებში, 12000-ზე მეტი ბავშვი დაიღუპა ან მძიმე ტრავმა მიიღო. ეს ყველაზე დიდი რაოდენობაა მას შემდეგ, რაც გაერომ ამ მძიმე დანაშაულის მონიტორინგის გამოქვეყნება დაიწყო,“ – ნათქვამია გენერალური მდივნის 2019 წლის წლიურ მოხსენებაში „ბავშვები და შეიარაღებული კონფლიქტები“. ეს მხოლოდ დადასტურებული ციფრებია, სავარაუდოდ კი, რეალური რიცხვი გაცილებით მეტია.

ავღანეთში მიმდინარე კონფლიქტის, ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკის, სომალის, სამხრეთ სუდანის, სირიის, იემენის და მრავალ სხვა ქვეყანაში მიმდინარე კონფლიქტების დროს, ბავშვები იხდიან ომის ყველაზე მძიმე ფასს. გაეროს ბავშვთა ფონდის შეფასებით, მძიმე შედეგების მიუხედავად, ისევ გრძელდება ისეთი იარაღის ფართო გამოყენება, როგორცაა საჰაერო რაკეტები, ნალმები, ნალმტყორცნები, იმპროვიზებული ასაფეთქებელი მოწყობილობები, სარაკეტო შეტევები, კასეტური საბრძოლო მასალები, საარტილერიო დაბომბვა, რის შედეგადაც, კონფლიქტის ზონაში მყოფი ბავშვების უმრავლესობა სიცოცხლეს ასრულებს.

„...ბავშვები სკოლაში მიდიან... ჩვენ ვიხსენებთ ათასობით ბავშვს, რომლებიც კონფლიქტურ სიტუაციებს შეეწირა და მათი ტრავიკული გარდაცვალება საშუალო ტკივილად იქცა ოჯახებისთვის, ეს დანაკლისი მუდმივად იგრძნობა საკლასო ოთახებსა და საზოგადოებაში – ამბობს ჰენრიეტა ფორი, – ბოლო 30 წლის განმავლობაში, ბავშვთა უფლებების დაცვის მიმართულებით მიღწეულმა მნიშვნელოვანმა შედეგებმა ნათლად აჩვენა, რა შედეგად იქცა გავაკეთოთ მათ დასახმარებლად, თუკი შევიღებთ დაცვას პოლიტიკურ ნებად ვაქცევთ.“

ბავშვების განათლების მხარდასაჭერად, ინსტალაციის დასრულების შემდეგ, შურგანთების მოგზაურობა გაგრძელდება.

